# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 დეკემბერი, 2010 წელი.

№226 (6592)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


„ქართული აკადემია“ ამხელს

## ხელისუფლების ვაირეფორმატორული პოლიტიკის სავალალო შედეგები



## გადასარჩენია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი!

3

სკანდალი

## ნოდაიდელმა პარტია ფულის გასათეთრებლად გამოიყენა?

2

## მწერალთა გამომცემლობა კი არა, ოთარაშვილის ბიზნეს-კანტორა!

7-8



6

რომანი სინამდვილის კვალდაკვალ

ფიფას არჩევანი

## „საწყალი“ რუსეთი

10




## „ვიკილიქსთან“ დაკავშირებული ციებ-ცხელება

5

## მეფეთუხანი მუშვენდება

11

კოლეგის წიგნი




11

## სიტყვადალიანი და სიტყვაუდალატო

თანამედროვე ფაშიზმი

## ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე დიდი ქართული გაზაფხულისთვის!

2-4



## განხეთქილება და სკანდალური ბრალდებები

# ნოღაიდელმა პარტია ფულის გასათეთრებლად გამოიყენა?

## „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერს თანაპარტიელები უსამართლობის გამო უჩივიან

**განხეთქილება ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში, შესაძლოა „სამართლიანი საქართველოს“ დაშლით დამთავრდეს. ამის შესახებ ვარაუდი გამოთქვა პარტიის განდგომილმა წევრმა, საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნატო ხოხიშვილმა „პრაიმ-თაიმის“ ოფისში გუშინ. ის ერთხელ იყო ამ პრესკლუბის სტუმარი, როცა მასთან ერთად კიდევ რამდენიმე წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა ზურაბ ნოღაიდელის მიმართ. მაშინ პარტიის ლიდერებმა უკმაყოფილო წევრებს „აგენტები“ უწოდეს, თუმცა გუშინ, პირიქით, სწორედ ნოღაიდელი დაადანაშაულეს ხელისუფლების აგენტობაში.**

ნატო ხოხიაშვილის მტკიცებით, პარტიას ხუთიათასამდე ოფიციალური წევრი ჰყავდა. დოკუმენტაცია რამდენიმე ხნის წინათ ოფისიდან გაქრა. ამ ადამიანთა სახელი და გვარი, მისამართისა და ტელეფონის ნომრის მითითებით შესაძლებელია მერაბიშვილის უწყებაში იდოს. ვარაუდს – ნოღაიდელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობაზე იმით ადასტურებს, რომ ამტკიცებს, პარტიის წევრებზე რამდენჯერმე განხორციელდა დევნა, მუქარის ზარები და. ა. შ. მაგრამ ამაზე რეაქცია არც ერთხელ არ ჰქონია ზურაბ ნოღაიდელსო.

„სამართლიანი საქართველოს“ 56 რაიონული ორგანიზაცია აქვს, აქედან 40 რიგგარეშე ყრილობის დანიშვნას ითხოვს. მიზეზთა შორის უმთავრესია ფინანსური მაქინაციები, რომელსაც ნოღაიდელსა და მის უახლოეს რამდენიმე ადამიანს აბრალებენ. **„ეროვნულ საბჭოში შემავალი პარტიებიდან „კარდაკარის“ პროგრამას ჩვენი წევრები ახორციელებდნენ, როგორც გაირკვა, დონორი ორგანიზაციები იხდიდნენ საკმაოდ სოლიდურ თანხას, თითო ოჯახზე 3,5 ლარს, თუმცა ნოღაიდელი ჩვენს წევრებს მხოლოდ 70 თეთრზე შეუთანხმდა. სამწუხაროდ, ისიც სანახევროდ გადაიხადეს. პირველი ეტაპის შემდეგ თბილისი დააკმაყოფილეს. აჭარასა და გურიაში კი მანამ არ გადაუხადეს თანხა, სანამ ქობულეთში ნოღაიდელის სახლის ჭიშკარი არ ჩამოხსნეს“,** – განუცხადა ჟურნალისტებს რესპონდენტმა.



ნატო ხოხიაშვილმა ნოღაიდელის რაიონული ორგანიზაციებისა და მაჟორიტარების შეხვედრაზე 5 მაისს გაკეთებული განცხადება გაიხსენა, ფულს არ დავხარჯავ ძიძიგურის მერად ასარჩევად და დავითაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე გასამარჯვებლადო. სხვათა შორის, მისი ეს გამონათქვამი სწრაფად გავრცელდა ეროვნულ საბჭოში, რასაც მოჰყვა კიდეც დაპირისპირება და უკმაყოფილება რიგით წევრებს შორის, თუმცა მაშინ ლიდერების ურთიერთობაზე ამან გავლენა ვერ იქონია. „ეროვნული საბჭო“ ბოლოს მაინც დაიშალა. ხოხიაშვილის გუშინდელ ბრიფინგზე ყველაზე შთამბეჭდავი იყო ბრალდება „ნოღაიდელის მიერ ფულის გათეთრების“ შესახებ. ნატო ამბობს, რომ პარტიის ლიდერებს ოფისის სეიფიდან გამოჰქონდეთ ფული, რომელსაც სხვადასხვა რაიონის ორგანიზაციის თავმჯდომარეებს აძლევდნენ, მათ კი ბანკში შეჰქონდათ თანხა, როგორც „წევრთა შემოწირულობა“. ვარაუდობენ, ეს თანხა ნოღაიდელის შავი ფული იყო, რომელსაც ამ გზით ათეთრებდაო. პარტიის ანგარიშზე მოხვედრილი თანხა, კვლავ ნოღაიდელისა და მისი გარემოცვის ჯიბეში ბრუნდებოდა, პარტიის წევრები კი დღემდე დავალიანების ანაზღაურების მოლოდინში არიან.

საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (მისთვის ეს თანამდებობა ჯერ არავის გაუუქმებიაძ ამბობს, რომ მას და მის კოლეგებს ხალხში გამოსაყოფი თავი არა აქვთ, რადგან თანხის ანაზღაურებას სწორედ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებისგან ითხოვენ. **„ეს ხალხი ჩვენ მოგვადგა. ზურაბ ნოღაიდელს კი „ფეხებზე ჰკიდია პარტიის წევრებიც და ხალხიც. ახლა ყველაზე მთავარი თავისი ბიზნესის რუსეთში გადატანაა, ამიტომაც დადის ასე ხშირად მოსკოვში“.**

როგორც პარტიის განდგომილი წევრი ამბობს, ზურაბ ნოღაიდელმა პარტიულ მუშაობაზე მას შემდეგ აიცრუა გული, რაც მოსკოვში იყო 9 მაისს ნინო ბურჯანაძის იქ ყოფნის დროს. **„9 მაისის შემდეგ ფაქტობრივად პარტიამ მუშაობა დაამთავრა. ზურაბ ნოღაიდელი მიხვდა, რომ რუსეთში ნინო ბურჯანაძის რეიტინგი მისსაზე გაცილებით მაღალი იყო. ამის შემდეგ ისე მიდი-მოდის რუსეთში, რომ პარტიაში არავის არაფერს უთანხმებს, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მას უბრალოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს და სხვა არაფერი“.**

ზემოთ აღვნიშნე, რომ პარტიის ლიდერები: ზურაბ ნოღაიდელი, პეტრე მამრაძე, კობა აბულაძე, ზურაბ ანთელიძე, მარინე მოლოდინი, ნატო ხოხიაშვილსა და მის მომხრეებს ხელისუფლების აგენტებს უწოდებენ. ისინი კი პირიქით – მათ ადანაშაულებენ ხელისუფლებასთან კავშირსა და კორუფციაში. **„ჩვენ რიგგარეშე ყრილობის დანიშვნას ვითხოვთ ზურაბ ნოღაიდელისგან. თუ ის არ დანიშნავს, ჩვენ – პარტიის წევრთა ერთი მესამედი თავადვე დავნიშნავთ ყრილობას და გადავწყვეტთ, რას ვაპირებთ და როგორ. ნოღაიდელს კარგად დავანახებთ, რა აგენტებიც ვართ და ამის ყურება მას შესაძლოა ციხის გისოსებიდან მოუწიოს. ის ემუქრება პარტიის წევრებს, სახალხო კრებაზე მისული არ დაგინახოთო, ოპოზიციასთან თანამშრომლობას უკრძალავს. რატომ ვიდექით ამდენ ხანს მის გვერდით? „ის შეცდომა იყო და ამ შეცდომის გამოსწორებას ახლა ვაპირებთ. ფინანსური მაქინაციებისა და პარტიის მუშაკთა დისკრედიტაციის გამო სასამართლოში ვუჩივლებთ“,** – ამბობს ხოხიაშვილი.

ზურაბ ნოღაიდელი ამჟამად რუსეთშია. ამიტომ ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება მისი პოზიცია ამ ბრალდებებზე. სავარაუდოდ, ჩვეულებისამებრ – ხისტი.

**თეა მოსია**

## თანამედროვე ფაშიზმი

# ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე დიდი ქართული გაზაფხულისთვის!

## ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს

**ამ საკითხზე დიდი ხანია ვფიქრობ და რაც დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ საქართველოში ძლიერდება 21-ე საუკუნის ფაშიზმი.**



ეს განწყობა კიდევ უფრო გამიძლიერა ეროვნული - „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ წინა და შემდგომმა პერიოდმა. **კრებამდე სრული იგნორირება, – არაფერი გვათქმევინეს სახელისუფლებო ტელევიზიებმა და კრების შემდგომ ეს თემა მთავარ თემად აქციეს და ჩვენს ნაცვლად დაიწყეს საუბარი.** ხალხს ავიწყებენ საქვეყნო პრობლემებს და მთელი სატელევიზიო სივრცე, სახელისუფლებო პრესა უჭირავს ინტრიგას, ოპოზიციის ერთმანეთზე გადაკიდებას. ხალხს ავიწყებენ ხელისუფლებას და გესლიანი ისარი მიმართეს რეალური ოპოზიციის წინააღმდეგ.

**გერმანიის, იტალიის, ესპანეთის XX საუკუნის დასაწყისს საოცრად ჰგავს საქართველოს XXI საუკუნის დასაწყისი.**

**XXI საუკუნის ფაშიზმი განსხვავებულია XX საუკუნის ფაშიზმისაგან, თუმცა ორთავე სისხლს უკავშირდება. ერთმა სისხლი დაღვარა, მსოფლიო სისხლის მდინარეებად აქცია, მეორე – სისხლს აშრობს და უკვე სისხლის სმასაც იწყებს.**

**ოდითგან საქართველოში ყველაზე მძიმე წყევლად ითვლებოდა: „შენი სისხლი გაშრა“, ხოლო როცა ადამიანები ერთმანეთს ეტყოდნენ: „შენს სისხლს დავლევ“ – ეს უკვე იყო ომის დასაწყისი.**

**ფაშიზმის იდეოლოგიის მამამთავარი გებელსი** - აზროვნებით სოციალისტი, თავს კომუნისტად თვლიდა, დრომ ნაციონალ-დემოკრატად აქცია (დამაფიქრებელია საქართველოს სინამდვილისათვისძ. კაცობრიობას ახსოვს მისი გამოთქმა: **„ისე უნდა ილაპარაკო, რომ ადამიანს ლამპა მზედ მოეჩვენოს...“ (საქართველოც ხომ სატელევიზიო კეთილდღეობის ეპოქაში ცხოვრობს).**

**გვახსოვს გებელსის პროპაგანდის პრინციპები: 1. სიმტკიცე, 2. შეზღუდვა** ( არ გაუშვა, რაც არ გაწყობსძ. 3. **გამეორება** (რაც გაწყობს, მუდმივად იმეორეძ.

სხვას რამეს ნიშნავს ან სააკაშვილის გამოსვლები, ან სახელისუფლებო ტელევიზიების იდეოლოგია? ტყუილი, მხოლოდ ტყუილი და ხალხს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო ინგრევა, ყველგან წარღვნაა და ერთადერთი საქართველოშია შენება. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა.

ჰიტლერმა ფაშიზმის იდეოლოგი გებელსი სწორედ განათლების მინისტრად დანიშნა. 2003 წლის შემდგომ საქართველოში განათლების მინისტრად მხოლოდ სოროსელი, მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ინიშნება. დღეს საქართველოს განათლების მინისტრი არის არა მარტო სოროსელი, არამედ ციხეების ყოფილი უფროსი, რომელიც წარმატებულად ამსგავსებს სკოლას ციხეს, რომელიც სკოლის დირექტორებს მათი სისხლის დალევით ემუქრება. მანდატურის ინსტიტუტით ბავშვებს უშრობენ სისხლს, „ნაციონალური“ რეჟიმის დაცვისათვის დირექტორების სისხლის სმას იწყებენ.

**თანამედროვე ფაშიზმია** საკუთარი ხალხის გაწირვა, საკუთარი ქვეყნის გასხვისება. მსოფლიო ბანკმა პირველი ადგილი მოგვცა სწორედ იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყანა ადვილად გასაყიდი გახადა.

**თანამედროვე ფაშიზმია**, როცა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს ესროლა 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა საკუთარი ქვეყნის ტერიტორია დაბომბა 2008 წლის 8 აგვისტოს, როცა სოციალურ და სულიერ განსაცდელს უწყობ საკუთარ ხალხს, როცა ძალის დემონსტრირებისათვის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ბიჭებს ხოცავ და მათ მკვლელებს აწინაურებ, როცა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ათასგვარი ხრიკებით საიქიოს ისტუმრებ. ამას აკეთებს სააკაშვილი და მისი (და არა ხალხისძ ხელისუფლება.

**ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე** სააკაშვილის შეფასებაში და ის ხალხი იყოს მართალი, ვინც ჩემ პოზიციას არ იზიარებს, მაგრამ ვეჭვობ, რომ მოაზროვნე ადამიანი შეწუხებული არ იყოს შექმნილი მდგომარეობით, არ აწუხებდეს თუნდაც ის, რომ მხარი დაუჭირა არჩევნებში... შეწუხებული არ იყოს თუნდაც იმით, რომ პრეზიდენტმა საკუთარი ტყუილები დაიჯერა და საქართველო აყვავებული და ძლიერი ქვეყანა ჰგონია. რაც შეეხება კერპთაყვანისმცემლებს, მათ აზრი არ შეეცვლებათ და, რაც მეტად აკრიტიკებენ სხვები მიხეილს, მით უფრო მეტად უყვარდებათ იგი. მაგრამ ეს ხომ ავადმყოფობაა.

იხ. 4 გვ.

## საზღვარი

# ნიკა რურუა: „საქართველო დავითგარეჯას საკითხზე აზერბაიჯანთან ფრთხილად, მაგრამ სერიოზულად მუშაობს“



**დავითგარეჯას ნგრევის პროცესის შენელების მიზნით სარესტავრაციო სამუშაობი უახლოეს პერიოდში დაიწყება. როგორც „პირველს“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განუცხადა, ამჟამად კვლევები მიმდინარეობს, უშუალოდ რესტავრაციის პროცესი კი რამდენიმე ეტაპისგან შედგება.**

„დავითგარეჯში კვლავ საგანგაშო მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, ქვებში გარდაუვალი ქიმიური პროცესები მიმდინარეობს და ისინი იშლება. ეს ბუნებრივი მოვლენა დამძიმებულია ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული იმ რყევებით, რომელიც იქ რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნამ გამოიწვია. ასე რომ, ახლა ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალური მობილიზება გავუწიოთ მსოფლიოში არსებულ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ანალოგიური შემადგენლობის ნაგებობის პრეზერვაცია. მოგეხსენებათ, კომპლექსი სპეციფიკური შემადგენლობის, ე.წ. ქვიშაქვითაა აშენებული, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ფხვიერდება და იშლება. ამის სრული შეჩერების მეთოდი მეცნიერებას ჯერჯერობით უბრალოდ არ უპოვია, მაგრამ ამ პროცესის შენელების დაწყებაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. რაც შეეხება რესტავრაციის დასრულების ვადებს, რესტავრაციაში ტერმინი „დასრულება“ არ გამოიყენება. იგი ეტაპებს მოიცავს. უკვე დაწყებული ეტაპი მალე დასრულდება და კონკრეტული ზომები მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიიღება“, – განაცხადა რურუამ, თუმცა კიდევ ერთხელ დასძინა, რომ „მთლიანად პროცესის შეჩერება, სამწუხაროდ, შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ დავითგარეჯას პრობლემაზე საუბრისას აზერბაიჯანის ფაქტორია მნიშვნელოვანი. აღნიშნული კულტურული ძეგლი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დემარკაცია-დელიმიტაციის სამუშაოების გაჭიანურების მთავარ მიზეზს წარმოადგენს.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადემარკაციო-სადელიმიტაციო კომისია უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს და საზღვრის 480 კმ-იანი მონაკვეთის მხოლოდ 65 პროცენტზე მოახერხა შეთანხმება, 2,5 კმ-იანი მონაკვეთი კი, რომელზეც დავითგარეჯის კლდეში გამოკვეთილი სენაკები და ზოგიერთი სხვა ძეგლია განლაგებული, ამ დრომდე შეუთანხმებელია.

აღსანიშნავია, რომ გარეჯის ძირითად მონასტერს საფრთხე არ ემუქრება და ქანების რღვევის პროცესი სწორედ აღნიშნულ კლდეში მიმდინარეობს. შესაბამისად, სარესტავრაციო სამუშაოების ცალმხრივად დაწყებაც გაჭირდება.

იხ. 4 გვ.

## ინფორმაცია

### შესაძლოა, 173-ე სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს

**ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ამ სკოლაში განათლების სამინისტროს გენინსპექციის თანამშრომლები 173-ე საჯარო სკოლაში უკვე შევიდნენ და დასკვნას, სავარაუდოდ, 2-3 კვირაში გამოაქვეყნებენ.**

**შეგახსენებთ, რომ გუშინ 173-ე სკოლაში სასწავლო პროცესი ამ სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ჩაშალეს. ისინი ყოფილი დირექტორის მზია გიორგობიანისა და 6 პედაგოგის გათავისუფლებას აპროტესტებდნენ.**

ХО-ЭОВ-ЭБО

„ქართული აკადემია“

# ხელისუფლების ვაირეფორმატორული პოლიტიკის სავალალო შედეგები

## 2010 წლის 30 ოქტომბერს ჩატარებული კონფერენციის „მეცნიერება და განათლება საქართველოში - რეფორმის მიზნები და შედეგები“

### შემაჯამებელი დასკვნა

შვიდი წელი იწურება არსებული ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ხელში აღებიდან. პირველივე დღიდან ცხადი გახდა, რომ მრავალი წინასაარჩევნო დაპირება ქვეყნისთვის აქტუალური, — მათ შორის, განათლებასა და მეცნიერებაში არსებული, — პრობლემების გადაწყვეტის დროს საზოგადოებასთან თანამშრომლობის შესახებ, დაპირებად დარჩა.

მეტიც, ხელისუფლებამ არათუ უარყო მეცნიერებისა და განათლების სფეროს რეფორმირების დასაბუთებული, საქმის ცოდნით შედგენილი პროექტები, რომლებიც აკადემიურ წრეებში, საექსპერტო საზოგადოებაში იყო შემუშავებული, არამედ დემონსტრაციულად დაუპირისპირდა მათ და შეუვალობა პრინციპის დონეზე აიყვანა. ამით მან, ფაქტობრივად, გამორიცხა განათლებისა და მეცნიერების რაობაზე, მათი განვითარების პრინციპებსა და მეთოდებზე საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის რეალური, კონსტრუქციული დისკუსიის შესაძლებლობა. ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც იქცევა ორსახოვნად მოაზროვნე, ავტორიტარული ტიპის მმართველობა, რომელიც ფეხქვეშ თელავს კანონის უზენაესობას და მას ჩაანაცვლებს რევოლუციური წარმოდგენებითა და შეხედულებებით, რომლებიც ტოტალურ პოლიტიკურ კონტროლზეა გათვლილი და ემსახურება არა პროგრესს, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებას.

ნიშანდობლივია, რომ ასეთ მოქმედებას ხელისუფლება ამართლებს „ნათელი მიზნებითა და იდეალებით“, ანუ ხმარობს ავტორიტარული მმართველობისათვის დამახასიათებელ, გაცვეთილ ფანდს. საგანგაშოა, რომ ეს ხდება XXI საუკუნის გლობალიზმის, საზღვრების გამჭვირვალობისა და დემოკრატიულ ქვეყნებთან დაწყებული ინტეგრაციის ვითარებაში, ჩვენი დასავლელი პარტნიორების, ექსპერტებისა და დონორების თვალწინ.

ხელისუფლების „რეფორმატორულმა“ მოქმედებებმა დაწყებით და საშუალო სასკოლო საფეხურზე სასწავლო პროგრამაში შეიტანა ქაოსი, სასკოლო ატესტატი აქცია ფარატინა ქაღალდად, რითაც სასწავლო პროცესი გახადა მოსწავლეებისათვის ყოველგვარ მოტივაციას მოკლებულ ფორმალობად, სრული გაურკვევლობა შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევის წესში, რამაც გამოიწვია უვარგისი, მდარე სასწავლო წიგნების მომრავლება და გავრცელება სკოლებში; უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად რამდენიმე წელი საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა არ მოითხოვებოდა, ამჟამად კი ამ საგნების ცოდნა საბჭოთა პერიოდის მოთხოვნის მესამედს თუ შეადგენს. და ეს ხდება ორი წლით (თორმეტ კლასამდე) გაზრდილი სასკოლო სწავლების პირობებში.

ასეთი ზერელე სწავლება ახალგაზრდებისათვის უმნიშვნელოვანეს — გარდატეხის — პერიოდში კლავს მათ შთაგონებას, გატაცებას, პასიონარობას და ამით, საბოლოო ჯამში, ასუსტებს ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობას — პასიონარიზმს. სკოლებში შექმნილი პრაქტიკულად უმართავი სიტუაციის გამოსასწორებლად ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გარდა მანდატურის ინსტიტუტის შემოღებისა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ძალოვანი დანაყოფების შეყვანა ყველა სასწავლო დაწესებულებაში და სასტიკი პოლიციური ზედამხედველობის დამყარება მთლიანად სასწავლო პროცესზე, მშობლებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი და პოლიტიკური კონტროლი სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგთა კორპუსის საქმიანობაზე.



ერთიანი ეროვნული გამოცდების უნიფიცირებული სისტემა შეიქმნა კორუფციასთან ბრძოლის დევიზით, ანუ აქცენტი გაკეთდა კანონდარღვევებთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე. უგულებელყოფილ იქნა დივერსიფიცირების აუცილებლობა, უნიფიცირების პრინციპმა კი ხელი შეუწყო ალგორითმული (ყოფითი) და არა შემეცნებითი აზროვნების განვითარებას.

ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე გახდა უნივერსიტეტების ავტონომია. პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, პირველ რიგში, შეჩერდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება და შემოღებული იქნა პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა; პრაქტიკულად შეწყდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დაფინანსება, პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაცია კი ჩატარდა ნაჩქარევად, სრულიად არაობიექტურად და არსებითად პოლიტიკური ნიშნით; მრავალი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, გამოცდილი პედაგოგი და ცნობილი მეცნიერი იძულებული გახდა ან დაეტოვებინა ეს დაწესებულება, ან შეგუებოდა ძალმომრეობას, ტრადიციული ფაკულტეტების გაუქმებას და სახელგანთქმული სამეცნიერო სკოლების მოშლას. ხელოვნურად, — ახალგაზრდების მოსყიდვითა და გადმობირებით — შეიქმნა ე.წ. „სტუდენტური თვითმმართველობის“ ორგანოები, რომლებიც მმართველი პარტიის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენს. რა გასაკვირია, რომ საქართველოში უძველესი, ყველაზე ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებელი დღეს არსებითად რიგითი (თანაც არც ისე მაღალი დონის) კოლეჯის სტანდარტსაც კი ვეღარ აკმაყოფილებს. ახლანდელი გადასახედიდან ცხადია, რომ ეს გაკეთდა ლიბერალურ რიტორიკას ამოფარებული ტოტალიტარული იდეოლოგიური დიქტატისა და პოლიტიკური კონტროლის განსახორციელებლად, უპრეცედენტო პოლიციური რბევისა და ძალადობის თანხლებით.

ხელისუფლებამ უგულებელყო მეცნიერებათა აკადემიის რეფორმების კომისიის მიერ შეთავაზებული მეცნიერების რეორგანიზაციის პრინციპები და სქემა, რომლებიც მიზნად ისახავდა მეცნიერების მართვის პრინციპების საფუძვლიან შეცვლას; აკადემიის ფარგლებში სამეცნიერო ექსპერტიზისა და კვლევითი ინსტიტუტების ერთიანი სისტემის შექმნას და, ამასთანავე, მათ უმტკივნეულო ინტეგრირებას უნივერსიტეტებთან.

ხელისუფლებამ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროს სისტემურ მოწყობას მდარე, მის მიერვე კონტროლირებადი იერარქიული მოწყობა ამჯობინა. ხელისუფლების მიერ მეცნიერებაზე „ზრუნვა“ ვლინდება შემდეგი ფაქტებით: დასავლეთში შეიარაღების სტანდარტებზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო სტანდარტებს. ევროკავშირის მოთხოვნებით, ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისთვის საჭიროა იხარჯებოდეს ქვეყნის სრული შიდა პროდუქტის 3% და მეცნიერებაში მოღვაწეობდეს დასაქმებული მოსახლეობის 0.5% — საქართველოს ხელისუფლება კი მეცნიერებისათვის სრული შიდა პროდუქტის 0.3%-საც კი არ გამოჰყოფს, მეცნიერებაში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტი კი „რეფორმების“ შედეგად 0.1%-ზე დაიყვანა.

ხელისუფლების ყველა ეს „რეფორმატორული“ მოქმედება სპობს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის თვითორგანიზებადი, სისტემური განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს კი მეტად აძნელებს მეცნიერული აზროვნების და, ზოგადად, აზროვნების კულტურის განვითარებას საქართველოში. ასევე, იგი საქართველოსათვის მიუწვდომელს ხდის ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკის „სავიზიტო ბარათს“ — ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ამასთანავე, ქართულ და დასავლურ საზოგადოებებს შორის ქმნის მენტალურ ზღუდეს. საბოლოოდ, ხელისუფლების „რეფორმატორული“ მოქმედება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უკვე საკმაოდ ახლო მომავალში საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციობის შესაძლებლობასაც კი.

მოვლენათა ასეთი მიმდინარეობა და სისწრაფე ქართულ საზოგადოებას განსჯისა და მოქმედებისათვის დროს არ უტოვებს. ამიტომაც აუცილებელია სამოქალაქო სექტორის საფუძვლიანად გააზრებული, მიზანმიმართული, თანამიმდევრული და კოორდინირებული მოქმედება. სწორედ სამოქალაქო სექტორმა უნდა მისცეს პოლიტიკურ პარტიებს ჯგუფური ამბიციებისაგან თავისუფალი მოქმედების მაგალითი. ერთობლივად უნდა შევქმნათ ის ზღუდე, რომელიც ეფექტურად დაგვაძლევინებს საქართველოში გამეფებულ ტერორს და ქვეყანას დაუბრუნებს განვითარების პერსპექტივას.

# გადასარჩენია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების მიზანმიმართულმა ნგრევა-განადგურებამ შეუქცევადი სახე მიიღო. დაიხურა და გაიყიდა სამუსიკო სკოლები, დაანგრიეს ახალაშენებული სკოლის კაპიტალური შენობა, მალე დაინგრევა მეექვსე საჯარო სკოლის შენობაც, უმძიმეს მდგომარეობაშია ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ა. შ. ცალკე საუბრის თემაა ხელისუფლების ის ბარბაროსული ქმედებები, რომლებიც ანადგურებს ქობულეთის ფიჭვნარის ანტიკური ხანის უნიკალურ არქეოლოგიურ ძეგლს. საფრთხის წინაშეა ბათუმის ბოტანიკური ბაღი და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის I კორპუსი სპეციალურად ქალთა გიმნაზიისათვის აშენდა 1898 წელს. საბჭოთა პერიოდში აქ გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ — უნივერსიტეტი, რომლის 75 წლისთავი ახლახანს ულიმღამოდ აღინიშნა. აჭარის ხელისუფლება ამზადებს საზოგადოებრივ აზრს, რომ უნივერსიტეტმა უნდა დატოვოს შენობა, მიზეზს კი არ ამბობს, თუმცა, გავრცელებული ხმებით, შენობაზე თვალი უჭირავს პრეზიდენტის დედას გიული ალასანიას. ამასთან დაკავშირებით, გვაქვს ინფორმაცია, რომ ბათუმის უნივერსიტეტის გამოსახლებასა და შენობის გასხვისებას კურატორობს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ მახარაძე.

რა ბედი ელით ბათუმელ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს?

ქიმიის სპეციალობის სტუდენტები უკვე გადაიყვანეს ე. წ. „ბენზეს“ (იგივე თამარის) დასახლებაში მდებარე კვლევით ინსტიტუტში. ერთი ვერსიით, დარჩენილთაგან ზოგს მწვანე კონცხზე გაუშვებენ, ზოგსაც — ქობულეთში. სხვა ვერსიით (რაც უფრო რეალური ჩანს), უნივერსიტეტი გადააქვთ რუსეთის არმიის ყოფილი 90-ე ბრიგადის ყაზარმებში.

„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, პროფესორ შოთა ზოიძის თქმით, უნივერსიტეტში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. გაურკვეველია რექტორის, პროფ. ალ. ბაკურიძის პოზიციაც. ახლახან, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტში აირჩიეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები. ჩვენი ინფორმაციით, უნივერსიტეტის მართვის ორივე ორგანო მ. მახარაძემ დააკომპლექტა. ასე მიიღო ხელისუფლებამ საეჭვო რეპუტაციის, თუმცა მორჩილი და მისთვის სანდო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.

ერთი სიტყვით, ბათუმის უნივერსიტეტმა გამოიარა ყველა ის ქარტეხილი, რომელიც საქართველოს მე-20 საუკუნეში ისტორიამ არგუნა, მაგრამ არასდროს, — თვით ბოლშევიკური ჯოჯოხეთის წლებშიც კი, — არ დასმულა თავისი შენობიდან უნივერსიტეტის გამოძევების საკითხი. დღეს კი, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, უნივერსიტეტი ერთი პიროვნების ინტერესებსა და გაძლიერებულ მადას უნდა შეეწიროს.

„ბათუმის უნივერსიტეტის ხელყოფა მიუტევებელი ცოდვა და დანაშაულია ჩვენი მომავლის წინაშე“, — დასძენს ბ-ნი შოთა ზოიძე და ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ, მისი შეხედულებით, უაღრესად სახიფათო ტენდენციაზე. ესაა უკანასკნელ წლებში (ასლან აბაშიძის მმართველობის შემდგომ პერიოდში) ისლამური სასულიერო სასწავლებლების კანონის დარღვევითა და დაჩქარებული წესით გახსნა. ამჟამად აჭარაში ფუნქციობს 51 მედრესე და 9 მედრესე-ინტერნატი, რომლებშიც 10-12 წლის ბავშვებს ღებულობენ და არაბულ ენაზე ასწავლიან ისლამს.

რასაკვირველია, პატივისცემას იმსახურებს ნებისმიერი კონფესია და რელიგიის საკითხში ადამიანის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მაგრამ აქვე დაისმის კითხვა: რამდენად გამართლებულია ჩვენი ისტორიის ბედუკუღმართობით ერთხელ უკვე ძალდატანებით გამაჰმადიანებული და შემდეგ ისტორიული რწმენის წიაღში დაბრუნებული აჭარის მოსახლეობის ისლამიზაციისათვის მიზანმიმართული ხელის შეწყობა?

ჩვენ ამ კითხვით მივმართავთ აჭარის ხელისუფლებას ზოგადად და, კერძოდ, ბატონებს ლევან ვარშალომიძესა და მიხეილ მახარაძეს და, ამასთანავე, შევახსენებთ იმ პასუხისმგებლობასაც, რომელსაც კისრულობენ საქართველოს ისტორიისა და მომავლის წინაშე ზემოაღნიშნული პროცესის გეგმაზომიერი ხელშეწყობისა და პრაქტიკული უზრუნველყოფისათვის.

„ქართული აკადემია“

# ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე დიდი ქართული გაზაფხულისთვის!

## ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს

(მეორე გვერდიდან)

***იქნებ, სიტყვა ფაშიზმი პრეზიდენტის შეფასებასთან მიმართებაში ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენა (ალბათ არა ყველას), მაგრამ ვთხოვ ყველას, მათ შორის მის მიმართ კეთილ განწყობილთაც და საერთოდ ურწმუნო თომებსაც — თავად გააკეთონ ანალიზი, იმისა: ვინ, რა ძალები მართავენ ქვეყანას და როგორია კლასიკური გაგებით დემოკრატიული და დიქტატორული ქვეყანა და, მეორეს მხრივ, თუ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტების მიერ შედგენილი ფაშიზმისაკენ სვლის ათპუნქტიანი ინსტრუქციიდან გამომდინარე.***

***დავიწყოთ მეორეთი. მე ყოველგვარი კომენტარის გარეშე გაწვდით ბრიტანულ პოპულარულ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ ამ 10 პუნქტს:***

**პირველი:** შექმენით შიდა და საგარეო მტრის შემაშინებელი სახე;

**მეორე:** ააშენეთ ციხეები — გულაგის მსგავსი — აუტანელი პირობებით;

**მესამე:** შექმენით ხალხის შესაშინებლად საკუთარი მოიერიშე ბრიგადები;

**მეოთხე:** მოახდინეთ მოქალაქეებზე თვალთვალი;

**მეხუთე:** მოსვენება არ მისცეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

**მეექვსე:** მოაწყვეთ თვითნებური დაჭერები და გათავისუფლებები;

**მეშვიდე:** შეაშინეთ ინტელიგენცია, მოაზროვნე ადამიანები;

**მერვე:** დააწესეთ კონტროლი მედიის საშუალებებზე, განსაკუთრებით ტელევიზიაზე;

**მეცხრე:** სხვანაირად აზროვნება აქციეთ სამშობლოს ღალატის სინონიმად;

**მეათე:** მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარეთ თავი.

დასავლელი ექსპერტები თვლიან, რომ ხელისუფლებას, რომელიც ამ პუნქტებს იცავს — ქვეყანა ფაშიზმისაკენ მიჰყავს.

რაც შეეხება იმას, ვინ, რა ძალები მართავენ დღეს ქვეყანას და როგორია კლასიკური გაგებით დემოკრატიული და დიქტატორული ქვეყანა.

ყოველ სახელმწიფოს მართავს იმ ქვეყნის ელიტა. ნუ გვაშინებს ეს სიტყვა. მმართველი ელიტის ხუთი ძირითადი სახეობა არსებობს:

- **ინტელექტუალური ელიტა,**
- **ეკონომიკური ელიტა,**
- **პოლიტიკური ელიტა,**
- **ბიუროკრატიული ელიტა,**
- **სამხედრო ელიტა.**

**დემოკრატიული ქვეყანა ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც მმართველობა პირველ სამს ეკუთვნის... მომავლის ქვეყანა იმას, სადაც ინტელექტუალურია, ხაზს ვუსვამ, ინტელექტუალურია ეკონომიკური ელიტაც და პოლიტიკური ელიტაც და ასეთი ინტელექტუალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტანდემი მართავს ქვეყანას** (სწორედ ისინი ახდენენ სასწაულს იაპონიაში). არსად **დემოკრატიული არ ჰქვია** ქვეყანას, სადაც მმართველობაში პირველი სამიდან ერთ რომელიმეს ბოლო ორის — ბიუროკრატიული ელიტისა და სამხედრო ელიტის, თუნდაც ერთი გაერევა. **დიქტატორულია** ის ქვეყანა, სადაც ქვეყანას ან ბიუროკრატიული, ან სამხედრო ელიტა და, მით უფრო, თუ ორივეს ტანდემი ერთად მართავს

**ახლა მითხარით ვინ არის ჩვენს ხელისუფლებაში მმართველი ძალა? არა მგონია, რომ ამ ხელისუფლებაზე შეყვარებულმაც და, თუნდაც, კერპთაყვანისმცემლებმაც (თუ მათში ოდნავ მაინც არის სინდისი), თქვან, რომ საქართველოს მართავს ინტელექტუალური ელიტა, ან ეკონომიკური ელიტა, ან პოლიტიკური ელიტა.**

**საქართველოს დღეს მართავს იატაკქვეშა პოლიტიკური ძალა, პრეზიდენტის აპარატისა და მაღალჩინიანი პოლიციელების, პროკურატურის და სამხედრო ჩინოვნიკების სახით. მართალი გითხრათ, კლასიკური გაგებით ბიუროკრატიული ელიტისა და სამხედრო ელიტის შეურაცხყოფა იქნებოდა, რომ პრეზიდენტის აპარატისათვის ბიუროკრატიული ელიტა და ადმინისტრაციული ორგანოების მაღალჩინოსნებისათვის სამხედრო ელიტა გვეწოდებინა.**

არა მგონია ვინმესთვის საეჭვო იყოს, **რომ დღეს ქვეყნის მმართველი ძალა ეს არის „მოქკავშირის“, „აღორძინების“, „კმარას“, „თავისუფლების ინსტიტუტის“, „მხედრიონის“, პარტიის რაიკომის პირველი მდივნების გასოროსებული შვილები,** სხვა ხელისუფლებაში არავინ არ არის. ფაქტია, რომ ჭარბობს სოროსული ძალები („კმარა“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, რაიკომის მდივნების გასოროსებული შვილებიძ პრაქტიკულად მათი კარნახით ინიშნებიან, გადაადგილდებიან მაღალ თანამდებობებზე პაიკები, თუნდაც იმის გამო, რომ **პრეზიდენტი სააკაშვილიც სოროსელია -** იყო შევარდნაძის შვილობილი (არ გამოვრიცხავ შეიძლება დარჩა კიდეცძ **— გახდა სოროსის.**

**ვინ არის სოროსი? მსოფლიოში ცნობილი მაქინატორი, თანამედროვეობის ლენინი.**

კომუნისტობა არც პარტბილეთია და არც კომუნისტური პარტიის წევრობა. კომუნისტობა კომუნისტური აზროვნებაა. სწორედ ეს არის საშიში, მით უფრო, **როცა** საქართველოს ხელისუფლებაზე მთავარ ზეგავლენს თანამედროვეობის ლენინი ჰქვია.

**ფაშიზმი** ის კი არ არის, რომ გვიჭირს, არამედ ის, რომ კანონი ერთ — მოსახლეობის დიდ ნაწილს — ალარიბებს, ამათხოვრებს, თავმოყვარეობას ულახავს, სისხლს უშრობს და სასაფლაოს გზას უყენებს, ხოლო მეორე — უმცირეს ნაწილს კი ამდიდრებს, ფუფუნებაში აცხოვრებს, ყველაფრის უფლებას აძლევს. **ფაშიზმია** ის, რომ მოსახლეობის 80 პროცენტს არ აქვს საარსებო მინიმუმი, პენსიონერის სამომხმარებლო კალათა თითქმის 20- ჯერ და მასწავლებელის 10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში და ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კი საარსებო მინიმუმზე 20, 30, 40 -ჯერ და არცთუ იშვიათად, 50-ჯერ მეტს იღებენ. **ფაშიზმია** ის, რომ ქვეყნის დამსახურებული ადამიანები, რომელთა მიერ არის შექმნილი ყველაფერი ის, რასაც ასე უმოწყალოდ ყიდის დღევანდელი ხელისუფლება, იღებდეს 80-100 ლარს და ისინი, ვისაც ნგრევის მეტი არაფერი არ მოუტანია და წინა თაობების შექმნილის გაყიდვით არის დაკავებული — 200, 300, 400-ჯერ და, არც თუ იშვიათად, 500-600-ჯერ მეტს. **ფაშიზმია,** როცა ღარიბი ქვეყნის მინისტრის ყოველთვიური შემოსავალი ჭარბობს ევროპის სახელმწიფოების და უტოლდება ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრის ხელფასს და ქართველი პენსიონერი კი თვეში იღებს იმდენს, რამდენსაც ამერიკაში საშუალო მუშა სამ საათში, როცა ქართველი მასწავლებლის ყოველთვიური ხელფასი ამერიკელი საშუალო მუშის ხუთი საათის ხელფასის ტოლია... **ფაშიზმია,** როცა მოსახლეობის 80 პროცენტში გაჭირვების გამო ცოდვის ტირილია და ამ დროს ხელისუფალთა უმრავლესობა — პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის არა ერთი წევრი და ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენელი — თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში მილიონერები გახდნენ... **ფაშიზმია,** როცა, პრაქტიკულად, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც აწყობს რამდენიმე ასეულ კაცს, დანარჩენები განწირულნი არიან.

***კიდევ ერთი, ჩემი აზრით, საშინელი სიმპტომის თაობაზე განსჯისა და განხილვისათვის. ჩემს თაობას 20-იანი, 30-იანი და 40-იანი წლების ბოლშევიკები მხოლოდ ფილმებსა და წიგნებში თუ გვინახავს. სააკაშვილს, ბოკერიას, თარგამაძეს, ლომაიას, მერაბიშვილს, რურუას, არველაძეს, უგულავას, ადეიშვილს, გვარამიას, ნადირაძეს, და***



***ბევრ სხვა დღევანდელ ხელისუფალს რომ აკვირდები, ისმენ მათ ცინიზმით სავსე კაცთმოძულე გამოსვლებს, ფიქრობ, რომ სწორედ ესენი არიან ისინი, ვინც ფილმებში გვინახავს, როგორც 20-იანი წლების ბოლშევიკები. ყოველ შემთხვევაში აზროვნების სტილში, გამონათქვამებში, კატეგორიულობაში, ცინიზმში, აგრესიაში განსხვავება არ არის. სწორედ ეს არის დამაფიქრებელი: ხალხი, რომელიც არ ცხოვრობდა ბოლშევიკების ეპოქაში — ბოლშევიკებზე დიდი ბოლშევიკები არიან დღეს.***

**კაცობრიობის ისტორია და გამოცდილება ადასტურებს: ვინც წარსულს აანალიზებს - მომავლით და მომავალში ცხოვრობს, ხოლო ის, ვინც წარსულს უარყოფს - წარსულით და წარსულში. სააკაშვილი და მისი რეჟიმი უარყოფს წარსულს და ამიტომ ცხოვრობს წარსულით და წარსულში.**

**სააკაშვილი, როგორც 20-იანი წლების ბოლშევიკები, „მტრის ხატის“ კატეგორიებით აზროვნებს. ხშირად ამბობს: „მტრები გვყავს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც“, „მტრების ჯინაზე“, „მტრებს უნდა ჩვენი შეხრამუნება“, და ა.შ**

- **ლენინი** ინტელიგენციას **ГАВНО**-ს უწოდებდა, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება — „ჩასარეცხებს“.

- **ბოლშევიკები** მოითხოვდნენ სისასტიკეს მათი მოწინააღმდეგეებისა და განსაკუთრებულად მოაზროვნე ადამიანებისადმი — ზუსტად ასეა დღესაც.

- **ბოლშევიკები** თანამდებობებზე მხოლოდ ბოლშევიკს ნიშნავდნენ, ნაციონალები — მხოლოდ ნაციონალებს;

- **ბოლშევიკები** თანამდებობებზე უმეტეს წილად კომპრომეტირებულ ადამიანებს ნიშნავდნენ... ეს არის „ნაციონალების“ „ოქროს წესი“ — კომპრომეტირებულთა მართვა ადვილია, ყურმოჭრილი მონები არიან...

- ბოლშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ პოლიტიკურ პროცესში ინტელიგენციის მონაწილეობის შეზღუდვას, პირველ ეტაპზე ახერხებდნენ კიდეც მათ დარწმუნებას იმაში, რომ პოლიტიკა არ არის ინტელიგენციის საქმე. ეს იყო ყველაზე მზაკვრული „ბოლშევიკური გამოგონება“. „ნაციონალები“ ამ „ბოლშევიკური გამოგონების“ არნახული ერთგულები არიან დღეს.

- ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ დამშეული ხალხის მართვა ადვილი იყო, რომ ჯერ უნდა დაამშიო, მერე უფასო სასადილოში მიიპატიჟო, ქუჩა გართობის ადგილად აქციო, ანუ „პური და სანახაობა“ იყო მათი „ფორჩიანი კანფეტი“... ბოლშევიკებსაც გაუკვირდებოდათ, თუ როგორი ოსტატობით აკეთებენ ამას 21-ე საუკუნის დასაწყისში „ნაციონალები“...

**ლენინს** (ბოლშევიკებს საერთოდძ ხალხისთვის მოსაჩვენებლად უყვარდათ ბავშვებზე საუბარი, ბავშვებში ყოფნა, ბავშვების ხელში აყვანა, „პიონერული ბანაკების შექმნა“, პატრიოტთა ზეიმების მოწყობა... — ამბობდნენ „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებსო“, მაგრამ მხოლოდ ამბობდნენ. ზუსტად იგივე ხდება დღესაც.

- **ბოლშევიკებს** უყვარდათ ქონების ჩამორთმევა, განკულაკება, დაჭერები, ციხეების მშენებლობა. დღევანდელ ხელისუფლებაც იგივეს აკეთებს.

- **ბოლშევიკები** ხალხს სამოთხეს ჰპირდებოდნენ, ასეთივე დაპირებები გვესმის დღესაც. რა სამოთხეც ბოლშევიკებმა შექმნეს — იგივეს შექმნიან დღევანდელი დამპირებლებიც.

- **ლენინს, ბოლშევიკებს** უყვარდათ ხალხში ყოფნა, „ხალხოსნობა“... ამბობდნენ: „ხელმძღვანელის კაბინეტი ხალხშიაო“, საჯარო გამოსვლებში უყვარდათ იმის ხაზგასმა, „ხალხი ბრძენია“, „ხალხი კარგად ხედავს“ — რეალობაში კი ხალხს ბრბოდ თვლიდნენ... არნახული სიზუსტით იცავს სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ამ ბოლშევიკურ „მონაპოვარს“ — ტრიბუნაც კი ქუჩაში, მინდორში, ტყე-პარკებში გაიტანა.

- **ბოლშევიკები თვლიდნენ,** რომ ყველაფერში პირველები იყვნენ და რომ მათგან იწყებოდა ცხოვრების ათვლა...... ამბობდნენ, რომ პირველები იყვნენ ეკონომიკის ზრდის ტემპითაც, ხალხის ცხოვრების ზრდის დონითაც, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, — წესრიგიც საუკეთესო ჰქონდათ და აშენებდნენ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანას. — ასეთ გამონათქვამებშიც სრული თანხვედრაა დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან.

- **ბოლშევიზმის საყრდენი** პავლიკ მოროზოვობა იყო. „ნაციონალი“ დამსმენის, ჩამშვების, გამყიდველობის სინონიმი გახდა.

- **ლენინის, სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტთა მიერ შექმნილი კომუნისტური ინტერნაციონალის ჰიმნის სახელწოდება იყო — „ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა“ (наш решительный бой), როგორც ამბობენ, ლენინს, სხვა კომუნისტურ ბელადებს ამ სახელწოდების არა ერთი სტატია აქვთ გამოქვეყნებული - მიხეილ სააკაშვილმა თავის წიგნს შევარდნაძის მინისტრობისას მაშინდელი ფინანსთა მინისტრის - სახელმწიფო ფულით გამოცემულ რევოლუციურ წიგნსაც ასე უწოდა — „გადამწყვეტი ბრძოლა“. როგორც იტყვიან, შემთხვევით არაფერი ხდება...**

***ფაშიზმს, ბოლშევიზმს, საერთოდ ტირანიას, დესპოტიზმს ისტორიულად აქვს ერთი საერთო პრინციპი: „დაყავი და იბატონე“.*** ჩვენ მძიმე ისტორიის ქვეყანა ვართ, მაგრამ ძნელად თუ წარმოვიდგენთ პერიოდს, როცა ასე დანაწევრებული იყო ხალხი, ასე დანაწევრებული იყო ქართული ცნობიერება. დღევანდელმა ხელისუფლებამ ხალხის დაყოფის, დანაწევრებისა და დაპირისპირებისათვის კონკურსების სისტემაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გამრიცხველიანებაც კი გამოიყენა. ***კონკურსებით მეგობრები და გამრიცხველიანებით კი მეზობლები დააპირისპირა, მტრებად აქცია, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს. აი ფაშიზმი და მისი იდეოლოგია მოქმედებაში. ფაშიზმის მთავარ იდეოლოგს გებელსსაც კი შეშურდებოდა კონკურსებისა და გამრიცხველიანების სააკაშვილ-ლომაიასეული სისტემა...***

***ბოლშევიკებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის მსგავსების დამადასტურებელი მაგალითების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამი საკმარისია იმის დამადასტურებლად, რომ, თუ სწორი დასკვნები არ გავაკეთეთ, სწორედ რომ ასეთი ალტერნატივის წინაშე დავდგებით: ფაშიზმი ან რევოლუცია. ფაშიზმიც პოლიტიკური პროცესია და რევოლუციაც, მაგრამ ორთავე არაადამიანური და დამანგრეველი.***

***ფაშიზმს უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. არც რევოლუციას მოუტანია არც ერთი ქვეყნისა და ხალხისთვის სიკეთე და ბედნიერება. ამის მაგალითი საქართველოა. საქართველოში ბედნიერია (ალბათ დროებით) ხელისუფლებაში მყოფი, უბედურია ხალხი... ჯერჯერობით ბედნიერად თვლის თავს ისიც, ვისთვისაც რევოლუციას უბედურება არ მოუტანია, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით.***

მთელი ხალხის, უპირველესად განათლებული და მოაზროვნე ადამიანების დიდი ეროვნული ძალისხმევაა საჭირო, რომ არც რევოლუცია მოხდეს და არც ფაშიზმის გზით ვიაროთ. მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე წარმოგვიდგენია, არადა, ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს.

**ეროვნულმა კრებამ — წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ დაიწყო დიდი პროცესი. ვფიქრობ, ეს არის განახლებული ეროვნული მოძრაობა, რეალური დემოკრატია და ინტელექტუალური რადიკალიზაცია.**

**პირდაპირ ვპასუხობ ხალხში მოარულ კითხვას: „გვეშველება?“**

**დავიბრუნოთ ღირსება და გვეშველება!**

**ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე დიდი ქართული გაზაფხულისთვის!**

**თემურ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)
2010 წლის 3 დეკემბერი

**უფრო წვრილად**

# „ვიკილიკსთან“ დაკავშირებული ციებ-ცხელება

**დღე ისე არ ჩაივლის, „ვიკილიკსის“ საგმირო საქმეებზე არ ილაპარაკოს მსოფლიოს თითქმის ყველა საინფორმაციო სააგენტომ, ტელეკომპანიამ, გაზეთმა და ჟურნალმა. ერთი სიტყვით, მსოფლიო პოლიტიკა გულისფანცქალით ელის ინტერნეტსაიტის მიერ გამოსაქვეყნებელ ახალ-ახალ მასალებს. გულისწყრომასთან ერთად, გაჩნდა აღშფოთებაც, ბრაზიც, შურისძიების ფარული მომენტებიც უმეტესად არა საიტის შემქმნელთა მიმართ, არამედ იმ ქვეყნის მიმართ, მთელს მსოფლიოში ნამდვილი დემოკრატიით რომ მოაქვთ თავი.**

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც აშშ სიურპრიზებს არ იშურებს დანარჩენი მსოფლიოსათვის, მაგრამ ის, რაც ბოლო ათი წელი ხდება, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო – ერაყის დიქტატორის, სადამ ჰუსეინის ბირთვული იარაღიდან დაწყებული და მისი განეიტრალების მიზნით უმცროსი ბუშის მიერ ერაყში ომის დაწყებით, ტერორიზმთან ბრძოლისათვის ავღანეთში საომარი მოქმედების გაშლითა და მასში ნატოს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების ჩართვით, საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით დაწყებული თუ მსოფლიოს ყველაზე სახიფათო სახელმწიფოებად ირანისა და ჩრდილოეთ კორეის გამოცხადებით. ბევრი სხვა ექსტრაორდინარული მოვლენის გახსენებაც შეიძლება, მაგრამ უბრალო ჩამონათვალიც შორს წაგვიყვანს და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მათში პოზიტიურის ნატამალიც არ მოიძებნება. ყველა ისინი ნეგატიურია და მხოლოდ ერთი ქვეყნიდან იღებს სათავეს.

**მსოფლიოს ჯერაც არ მოუშუშებია საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგები, ასე გულუხვად რომ დააჯილდოვა ამერიკამ კაცობრიობა და ისევ ახალი თავსატკივარი – „ვიკილიკსის“ დოკუმენტების სახით. შოკირებული პოლიტიკოსები თავს იტეხენ დამნაშავის გამოსავლენად და იმის დასადგენად, ვინ დგას უკვე პოპულარული საიტის ზურგს უკან. ბევრი თვლის, რომ ეს აშშ-ია, მაგრამ საკუთარ ვარაუდს არ ახმოვანებს – მაინც პირველი ქვეყანაა და არ ეწყინოსო. მარტო ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჟადი აღმოჩნდა ის პოლიტიკოსი, რომელმაც ყოველგვარი რევერანსების გარეშე ხელი დაადო აშშ-ს ადმინისტრაციას და თქვა, რომ სწორედ ის დგას ყბადაღებული საიტის უკან, სწორედ ის აქვეყნებს საიდუმლო მასალებს, რათა მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთს გადაჰკიდოს. აჰმადინეჟადმა თქვა ის, რისი თქმაც სხვებს ერიდებათ, მაგრამ ის, რომ ინიციატორად ამერიკელები მიაჩნიათ, უდავოა, თუმცა ოფიციალური განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გააკეთა, აშშ-ც ისეთივე „მსხვერპლია“, როგორც დანარჩენი ქვეყნები. დავუშვათ ასეა, მაგრამ წერილობითი დოკუმენტაცია, რომლებიც საიტის მიერ დროდადრო ქვეყნდება, ხომ ამერიკელი დიპლომატების მიერ არის შედგენილი? ადრესატიც ხომ აშშ-ის ადმინისტრაციაა სახელმწიფო დეპარტამენტის სახით?**

დიპლომატიაში მიღებული წესია საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში მყოფი დიპლომატიური მუშაკის მიერ ადგილსამყოფელ ქვეყანასთან დაკავშირებით ყველა სახის ინფორმაციის გაგზავნა სამშობლოში. ინფორმაცია იგზავნება არა მარტო ქვეყნის, არამედ ამ ქვეყნის პოლიტიკოსთა, საზოგადო მოღვაწეთა, ცნობილ პიროვნებათა შესახებ. ინფორმაციის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ითვლება ამა თუ იმ პირთან დიპლომატის საუბრის ჩანაწერი.

ბევრს რომ დიპლომატიური წვეულებები, ალა ფურშეტები დროსტარებად მიაჩნია, დიპლომატისათვის სერიოზული მუშაობაა. ნებისმიერ ასეთ წვეულებაზე დიპლომატს 4-5 მნიშვნელოვანი საუბარი აქვს არა მარტო ადგილობრივი ქვეყნის წარმომადგენლებთან, არამედ სხვა ქვეყნის დიპლომატებთან. დავუმატოთ ამას საელჩოში გამართული საუბრები და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებში მოწყობილი შეხვედრები. დიპლომატი ვალდებულია საუბრის შინაარსი გადაიტანოს ქაღალდზე და საიდუმლო ფოსტით გააგზავნოს სათაო ორგანოში, ანუ საგარეო უწყებაში. ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის საყოველთაო დამკვიდრების შემდეგ გასაკვირი არ არის მისი საგარეო უწყების მიერ გამოყენება, თუმცა, როგორც მწარე გაკვეთილმა დაგვანახვა, ეს გზა საიდუმლო ინფორმაციის გაგზავნისთვის მიუღებელია. **ის, რომ ეს ასეა, ნუთუ უცნობი იყო აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ან სხვა სპეცსამსახურებისათვის? დაუჯერებელია.** ამიტომაც უჩნდებათ ეჭვი სახელმწიფოთა მეთაურებს ამერიკელთა სიეშმაკეში. და თუ ეს ასეა, რას აღწევს ეს ქვეყანა საიდუმლო მასალების გამოქვეყნებით? უდიდესი ქაოსის შექმნას, რომლის დროს იოლად ხდება ვითარების მართვა ამ საქმეში გაწაფული ინსტიტუტების მიერ. ასეთით მხოლოდ აშშ-ია ცნობილი. აღნიშნული ინსტიტუტების უკან კი პოლიტიკური სტრუქტურების შეკვეთა მოიაზრება.




„ვიკილიკსის“ მიერ შექმნილი ატმოსფერო კრიზისისმაგვარია. ამ კრიზისმა ჯერ დაფარულად დააპირისპირა ქვეყნები და მათი პოლიტიკოსები ერთმანეთს, თუ რა იქნება ხვალ, არავინ იცის, მაგრამ, ასე იოლად რომ არ ჩაივლის საიტის „ოინები“, უდავოა. ექსპერტთა საკმაო ნაწილი მიიჩნევს, რომ აგორებული ტალღა ის შავი მორევია, რომელშიც ამერიკული პოლიტიკა თევზის დაჭერას შეეცდება.

მსოფლიოს პოლიტიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები მომხდართან დაკავშირებით, რომ რბილი და ზედაპირულია, ნათელია, მაგრამ სინამდვილეში როგორია მათი განწყობა, ძნელი გამოსაცნობი არ არის. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერდოგანის გაბრაზებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველას თუ არა, უმეტესობას ანალოგიური შეგრძნება ექნება. რაც შეეხება ერდოგანს – მის მიმართ ითქვა, რომ არ უყვარს ისრაელი და რომ ამის თაობაზე განაცხადა ერთ-ერთი საუბრის დროს. ამერიკელი დიპლომატის მიერ შედგენილი დოკუმენტით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაუდოღლუ საშიში კაცია. დოკუმენტში ნათქვამია ისიც, რომ თურქეთის მთავრობაში გახელებული ომია ისლამისტებსა და საერო მმართველობის მომხრეთა შორის.

განსაკუთრებული კრიტიკა ერგო რუსეთს და მის ხელმძღვანელობას, რომელიც დღითი დღე იძირება კორუფციულ ჭაობში. ესპანეთში მომუშავე ამერიკელი დიპლომატი იმოწმებს ესპანელი მოსამართლის სიტყვებს, რომ რუსეთში ადგილი აქვს სახელმწიფო ორგანიზებულ დანაშაულს, რომ მაფიამ შეაღწია კრემლში. ინფორმაციის წყაროს ჯერ ვერ დაუდგენია, თუ რამდენად არის ამ მაფიასთან დაკავშირებული პუტინი, არის თუ არა ის ორგანიზებული დანაშაულის დირიჟორი და სხვა. თვით პუტინმა ცნობილ ამერიკელ ტელეჟურნალისტთან ლარი კინგთან სატელევიზიო საუბრისას თქვა, რომ – „ზოგი ფიქრობს ვიღაც დგას „ვიკილიკსის“ უკან, მე ვერავითარ კატასტროფას ვერ ვხედავ ამაში“. კინგის შეკითხვაზე, როგორ აფასებს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის გეიტსის განცხადებას, რომ რუსეთი სახიფათო ხდება დემოკრატიის თვალსაზრისით, პუტინმა უპასუხა, გეიტსი, რომელიც აშშ-ს სპეცსამსახურს ხელმძღვანელობდა, დიდი დემოკრატიით ვერ დაიკვეხნის და თუ ის აშშ-ს დემოკრატად მიაჩნია, მოსალოცი საქმეა. პუტინმა ილაპარაკა რუსულ დაზვერვაზეც და აღნიშნა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. რუსეთს, ისე, როგორც აშშ-ს ჰყავს ჯაშუშები, მაგრამ რუსი ჯაშუშები არ არიან შემჩნეული ადამიანთა მოტაცებაში, დაკავებულთა წამებაში და სხვა. პუტინი გულისხმობდა გუანტანამოს ციხეს, სადაც პატიმრებს აწამებდნენ. ასევე ერაყის აბუ გრეიბის საპყრობილეს, სადაც აშშ-ს სპეცსამსახურების წარმომადგენლები დაპატიმრებულთა გამოსატეხად წამების უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ. აღნიშნულის შესახებაც გვაუწყა ვიკილიკსმა.

საიტმა გამოაქვეყნა ის მასალებიც, სადაც ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჟადი ჰიტლერად არის წოდებული. არის მასალები არაბული ქვეყნების ლიდერებზე. მაგ. საუდის არაბეთის, იორდანიის, სხვების, რომლებიც სთხოვდნენ აშშ-ს დაებომბოს ირანი. „საჭიროა გველის თავის გაჭეჭყვა“, ასეთი სიტყვებით მიმართავს საუდის არაბეთის ლიდერი აშშ-ს და სხვა.

„ვიკილიკსს“ არც საქართველო გამორჩენია, ის გვპირდება 1.500 დოკუმენტის გამოქვეყნებას, მანამდე კი აქვეყნებს ცხინვალის ომის ამბებს, კერძოდ იმას, რომ აშშ-ს ელჩმა ტეფტმა 7 აგვისტოს გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნა, რომ წინა დღეს სამხრეთ ოსეთში გააფთრებული ბრძოლები დაიწყო. მეორე დღეს, ის წერს, რომ ქართულმა არმიამ დაბომბა ცხინვალი. სიახლე არაფერია იმაში, რომ აშშ-მა იცოდა საქართველოს გადაწყვეტილება ომის დაწყების თაობაზე, მაგრამ აქ არის ერთი პატარა დეტალი – 6 აგვისტოს ცხარე ბრძოლები. ტეფტის წერილით წინასწარ არის გათვლილი საბაბი იმისა, თუ რატომ გადავიდა შეტევაზე ქართული არმია, ანუ ცხინვალთან გამართული ბრძოლების გამო, რომელიც ოსთა მხრიდან იყო გამოწვეული. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა ვუყოთ ეუთოს 2 დამკვირვებლის განცხადებას, რომ 7 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთის მხრიდან არავითარ პროვოკაციებს ადგილი არ ჰქონია. ეუთოს დამკვირვებლები სწორედ იმ ზონაში იმყოფებოდნენ და მათ უფრო მეტი იციან, ვიდრე თბილისში მყოფმა ტეფტმა. სიმართლის თქმას უნდა მივაწეროთ ორივე დამკვირვებლის სასწრაფო გათავისუფლება ეუთოს ხელმძღვანელთა მხრიდან, ამერიკელთა ზეწოლით.

დიპლომატიაში ჩვეული მეთოდია ინფორმაციის „გაპარება“, თანაც ვითომდა მაკომპრომენტირებელის, მიზნის მისაღწევად. მოვიყვან ასეთ მაგალითს, რომელიც აღწერილია რუსი ავტორის ვ. სუვოროვის წიგნში „ლედოკოლი“: **1940 წლის 13 ივლისს მოლოტოვმა სტალინის განკარგულებით სტალინისა და ინგლისის ელჩის კრიპსის საუბრის ჩანაწერი გადასცა გერმანიის ელჩს შულენბურგს. გასაკვირი გადაწყვეტილებაა. აწარმოებდე საიდუმლო მოლაპარაკებას ჩერჩილის წარმომადგენელთან და ფარულად შინაარსს აწვდიდე გერმანიის ელჩს. მაგრამ ეს ერთის შეხედვით. გერმანიის ელჩისათვის „ფარულად“ გადაცემული დოკუმენტი იყო ასლი და თანაც გვარიანად შეცვლილი. ამით სტალინი ეუბნებოდა ჰიტლერს – მოსკოვში იყო მოლაპარაკება ინგლისის ელჩთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება სულაც არ არის მიმართული გერმანიის წინააღმდეგ. დაიჯერა თუ არა ჰიტლერმა სტალინის ფანდი, სხვა საქმეა, ცხადია არა, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთებას დრო დასჭირდა.**

„ვიკილიკსმა“ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არა მარტო პოლიტიკოსებში, არამედ ყველაში, ვინც პოლიტიკას თვალს ადევნებს. გამოაშკარავდა თუნდაც ის, რომ ისეთი ქვეყანაც კი, როგორიც აშშ-ია, თუ თვით არ დგას „ვიკილიკსის“ უკან, დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამს იმ საქმეში, რასაც საიდუმლოების დაცვა ჰქვია. **„ვიკილიკსის“ მიერ მოპოვებული მასალა რამდენიმე ფურცლისგან რომ შედგებოდეს, ქურდობა დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს ასეულ ათასობით დოკუმენტთან, რა შეიძლება ეწოდოს ამას? აშშ-ს სახელგანთქმული სპეცსამსახურების დანაშაულებრივი შეცდომა, დიპლომატიის უნიათობა თუ წინასწარ გათვლილი ჩახლართული ოპერაცია?**

**ამაზე პასუხს ვერც დღეს და ვერც ხვალ ვერ მივიღებთ. საერთოდ მივიღებთ თუ არა, მსუყე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

**„ვიკილიკსმა“ ერთი დადებითი შედეგი მაინც მოიტანა. ამიერიდან დიპლომატია შეეცდება კერძო საუბრებშიც კი იყოს თავშეკავებული, ზომაზე მეტად დაფიქრებული და მოზომილი, რაც თავისთავად გაართულებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

**საზღვარი**

# ნიკა რურუა: „საქართველო დავითგარეჯას საკითხზე აზერბაიჯანთან ფრთხილად, მაგრამ სერიოზულად მუშაობს“

(მეორე გვერდიდან)

კულტურის მინისტრის აზრით, აღნიშნული საკითხის დაჩქარებამ შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს და აქ ფრთხილი მუშაობაა საჭირო.

„აზერბაიჯანულ მხარესთან მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ვინაიდან დემარკაცია-დელიმიტაციის ხაზი ამ წუთას არ არის გარკვეული, ეს სპეციფიკური თემაა, ამიტომ მისი დაჩქარება შეიძლება, უფრო სავალალო შედეგებამდე მიმყვანი იყოს. ასე რომ, საქართველოს დიპლომატიური უწყება აზერბაიჯანთან ფრთხილად, მაგრამ სერიოზულად მუშაობს ამ თემაზე“, – დასძინა რურუამ.

შეგახსენებთ, რომ 5 ოქტომბერს დავითგარეჯში მონასტრის სატრაპეზოს ფასადი ჩამოიშალა. კომპლექსში არსებული ვითარების შესასწავლად კულტურული მემკვიდრეობის სფეროს წარმომადგენლების, ექსპერტებისა და რესტავრატორების ჯგუფი მუშაობს.

დავითგარეჯას კლდეში ნაკვეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსი გარე კახეთში, გარეჯის მთის ნახევრადუდაბნოში, 25 კილომეტრზეა გაშენებული. მონასტერი VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა – წმიდა დავით გარეჯელმა დააარსა. წმიდა დავითი გარეჯას მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმიდა დავითის ლავრა ეწოდება. იმავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა კიდევ ორი სამონასტრო განშტოება - დოდოს რქა და ნათლისმცემელი დააარსეს. IX საუკუნეში წმიდა ილარიონ ქართველმა, მოგვიანებით კი მეფე დემეტრე პირველმა მონასტერი გააფართოვეს და გადააკეთეს. XI-XIII საუკუნეებში აქ ახალი მონასტრები დაარსდა, გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, ტერასიანი ეზო, ასევე ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში წყალშემყვანი არხები და რეზერვუარები გაიჭრა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ეკლესიებსა და სატრაპეზოებში არსებული კედლის უნიკალური მხატვრობაც. გარეჯის ფრესკების მნიშვნელობას ის გარემოებაც განსაზღვრავს, რომ მან დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, დიმიტრი თავდადებულისა და სხვა ქტიტორების სახეები შემოგვინახა. XVIII საუკუნის ხშირი თავდასხმების შედეგად გარეჯას მონასტრის განვითარება თანდათან შესუსტდა, ხოლო XIX საუკუნის II ნახევრიდან იგი გაუკაცრიელდა, მხოლოდ რამდენიმე ბერი ნათლისმცემლის მონასტერში შემორჩა. აღსანიშნავია, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დღესდღეობით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

**ნინო ჩიჩუა**



წიგნი

# რომანი სინამდვილის კვალდაკვალ

**სოსო სიგუა**

**რევაზ მიშველაძე ყოველთვის აქტიურად იყო ჩარეული ჩვენი ცხოვრების ორომტრიალში, როგორც საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლემისტი. წერდა სამეცნიერო გამოკვლევებს, სწავლობდა პოემის ჟანრსა და ჟანრების თეორიას, XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ჟურნალისტიკას, ლიტერატურის თეორიას. მაგრამ ასეთი ფართო ხედვის ლიტერატორი მხატვრულ სფეროში, ლიტერატურაში როგორც მწერალი იყო მხოლოდ ნოველისტი.**

**ამ მცირე ფორმის ჟანრს მან უნივერსალური თვისება მიანიჭა, აღავსო ცხოვრებისეული პრობლემებით და როგორც ჭუჭრუტანიდან ჩანს სივრცე და ზეცა, ისე დაგვანახა ქვეყნიერების სურათები.**

მაგრამ რევაზ მიშველაძემ მოულოდნელად დაარღვია ტრადიციული ტრაფარეტი, არ იკმარა მოპოვებული წარმატება და 70 წლის იუბილეს შემდეგ გამოაქვეყნა ახალგაზრდული ცეცხლით განათებული 800-გვერდიანი რომანი – „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

რომანის მთავარი პერსონაჟია გელა კირთაძე – ლიტერატორი, მწერალი, ჟურნალ „ნუგეშის“ რედაქტორი, რომელიც თავის თავს ეროვნული მოძრაობის მემატიანეს უწოდებს,. იგი გადაცილებულია ახალგაზრდულ ასაკს. ცხოვრობს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, 11 ნომერში. ტელეფონის ნომერია 23-26-83, ჰყავს მეუღლე და ერთადერთი ვაჟი, რომელიც ომში იღუპება.

იგი მეამბოხე პიროვნებაა და სრულიად ნათელია, რომ მთავარი გმირის პროტოტიპი ავტორია. პროტოტიპები რევაზ მიშველაძის ნოველების პერსონაჟებსაც ჰყავთ, რადგან ისინი ცხოვრებიდან გადმოსული სახეებია. მაგრამ არც ადრე, არც ამ რომანში პერსონაჟი არ უდრის პროტოტიპს და მწერალიც თავისი იდეის შესაბამისად ავსებს და ცვლის ცალკეულ დეტალებს, შემოაქვს ახალი მასალა და სიუჟეტი. მაგრამ ეპოქა და პროტოტიპები, პუბლიცისტური ნაკადი ფაქტებს დოკუმენტის მნიშვნელობას აძლევენ.

გელა თვითონ გვიყვება თავის ისტორიას, მეტყველებს პირველი პირით, ხანაც ავტორი ენაცვლება, მესამე პირით წერს, ზოგჯერ სხვა პერსონაჟის თვალით არის ნაჩვენები მოვლენები.

განსაკუთრებით ღრმად არყევს გელას ცნობიერებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აფხაზეთის ტრაგედიის პერიპეტიები. იგი ისე შეძრა 9 აპრილის უსამართლობამ, რომ გადაწყვიტა წასულიყო რუსეთში და იქ ყველასათვის ეთქვა სიმართლე, ეს სიმართლე დოკუმენტურად ეჩვენებინა. მაგრამ იქ არც ლექცია და არც დარბევის კასეტა არავის აინტერესებს. თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს არავინ თანაუგრძნობს, რუსი მხოლოდ თავის არარსებულ მსხვერპლზე სწუხს.

გელა იდეის გმირია. მაგრამ ის რომანის პერსონაჟია და ამიტომ მწერალი სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებს – ცხოვრების ორომტრიალში ჩარეულს, ინტიმურ სცენებში, სამსახურსა და ოჯახურ გარემოში, მოგზაურობაში. თუმცა ყოველთვის სდევს სამშობლოს სევდა რომელმაც არია მისი მშვიდი ცხოვრება, რაც აპოგეას აღწევს წიგნის ფინალში.

რომანი იწყება გაზაფხულის რუში მოჭყუმპალავე იხვების იდილიური და ფლეგმატური სურათით. მაგრამ მათ ნეტარებას არღვევს მდუმარე ლაშქარი – თბილისში იწყება მიტინგებისა და დემონსტრაციების პერიოდი.

წიგნს, როგორც უვერტურა, უძღვის სოკრატესა და ჰიპოკრატეს დიალოგი, რომელიც სტუდენტობის წლებში დაუწერია გელას. ამ საინტერესო დიალოგში, რომელიც ფილოსოფიური განსჯაა ცხოვრების, ჭეშმარიტების, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა, მოხდენილად მეორდება ორი სახელი: სოკრატე-ჰიპოკრატე. შემდეგ კი იწყება ძირითადი სათქმელი – როგორ იბრძვის ახალგაზრდობა სამშობლოს თავისუფლებისათვის და რა სასჯელი მოსდევს ამგვარ გაბრძოლებას იმპერიული ხელისუფლებისაგან.

აპრილის მოვლენები ასოციაციურად იშლება, ერთმანეთს გადაკვეთს სხვადასხვა პერსონაჟთა ბედი, აქ ქრონოლოგია არც არის დაცული. ერთი მხრივ – თუ საიქიოდან გველაპარაკება 9 აპრილის მსხვერპლი მანანა კეკელიძე, მეორე მხრივ – გადამდგარი გენერალი გვიყვება ზვიადის მიერ სტადიონზე ჩატარებულ აღლუმსა და ხელისუფლების დამხობაზე. ერთი მხრივ – ჯუმბერ პატიაშვილის აღსარებას ვისმენთ, მეორე მხრივ – შვილმოკლული ბიკენტი დიხამინჯიასა და მისი შვილის მკვლელის სასაფლაოზე უცნაურ შეხვედრას ვეცნობით.

ასე ცვლის აპრილის რომანტიკულ აღმაფრენას რეალური ცხოვრების სუსხი. მაგრამ ეს გრძნობა კიდევ უფრო მწვავდება წიგნის მომდევნო ნაწილში, რომელსაც „ომი“ ჰქვია.

როგორც მკითხველს მოეხსენება, რევაზ მიშველაძის სტილის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია იუმორი. მაგრამ წიგნში იუმორის პულსირება შენელებულია: იგი ადგილს უთმობს დრამატიზმს, რაც გამომდინარეობს ასახული სასტიკი რეალობიდან. ამიტომ იღუპება მთავარი პერსონაჟი, ეს მაშინ როცა რევაზ მიშველაძე თითქმის გამორიცხავდა თავის ნოველებში სიკვდილის სცენებს. მაგრამ ამჯერად თავად სინამდვილემ წამოსწია სიკვდილ-სიცოცხლის დრამა. ამ თვალსაზრისით წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია „სიზმარი“ („ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნოდა, მამაჩემო როგორც მინდოდა, ისე გავხარჯე“).

ასევე სულისშემძვრელია ხალხის აყრისა და აფხაზეთიდან გამოქცევის სურათები.

წიგნის ამ ნაწილში განსაკუთრებულ და დასახსომებელ ხასიათებს ქმნიან ხვიჩა ჯგერენაია და ძიკი ჯგერენაია, კოკი გერსამია და გენერალი მუსხელიძე, ადიღეელი მამაშვილი ბესლანი და თემური, აფსუა ტაქსისტი. ერთმანეთს ენაცვლება თავგანწირვა და ღალატი, სიმართლე და დაპირება. დაუვიწყარია ცალკეული ეპიზოდები. მაგ., როგორ აცილებენ მწერალს აეროპორტში ადიღეელები, როგორ მიდის სოხუმში, თავის დაკარგულ სახლში ლტოლვილი, სადაც ხვდება უკმეხი აფხაზი, რომელსაც მისი სურათი უკიდია კედელზე; ფეხსაცმლის მწმენდავად ქცეული პროფესორი ბაგრატი („მე აღარაფრის თავი აღარა მაქვს. მე უკვე საბოლოოდ დამაჩოქეს. მშია, ბატონო, მშია, ხომ შეიძლება რომ მშიოდეს, რაო, შიმშილის უფლებაც აღარ მაქვს?!)“, დაღუპული შვილის მოლანდება...

რევაზ მიშველაძე რეალისტი მხატვარია, რომლის სიტყვიერი ხელოვნება ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოდის. იგი გვიჩვენებს სურათებს, დეტალებს, თხზავს სიუჟეტებს, მათ განალაგებს პერსონაჟის ხასიათებად და მათი კომბინაციით აზროვნებს.

ამ გზაზე მწერლისათვის მიუღებელია მოდერნისტულ-ავანგარდისტული გამოცდილება. მაგრამ მისდაუნებლიეთ შემოაქვს სწორედ ამ ლიტერატურაში გავრცელებული პირობითობა, ალეგორიული პლანი, ასოციაციური კომპოზიცია, განსჯა და ანალიზი. მაგრამ მათი საფუძველი მუდამ არის სხარტი სიუჟეტი, მოქმედების განვითარების რეალიზმი. ამიტომ არის მისი სევდა და სიხარული ქართული.






აფხაზეთის ტრაგედია მწერალმა ტრადიციული თხრობით კი არ გადმოგვცა, არამედ გადაანაწილა პერსონაჟებზე, გამოყო ცალკეული დეტალები, ნიუანსები და ისინი სიუჟეტებად გაშალა.

ასე შექმნა ამ კატასტროფის მოზაიკური სურათი.

რომანის მესამე თავი – „მეტეორი“ მთლიანად ცხოვრებისეული ეპიზოდებისაგან შედგება. მათ აერთიანებს გელა კირთაძე და გელასა და თამთას სასიყვარულო ისტორია. აქაც ერთმანეთს ენაცვლება I და III პირით თხრობა, გელას ამბები და წერილები გელასადმი. ამ წერილებში წამოწეულია შემთხვევითი, ინტიმური კავშირები, მსუბუქი ფლირტები. ესენი უფრო ფსიქოლოგიური ეტიუდებია, რომლებიც წარმოაჩენენ პერსონაჟის სულის ნიუანსებს.

წიგნის ამ ნაწილში ნაირგვარი ცხოვრებისეული სურათებია გადმოშლილი: აი, ბუჭა, რომელმაც დააშეგობრა ცოლი და საყვარელი; გელა ბაბაის აეროპორტში გაიცნობს ლიას, კრძალვით ექცევა, ტაქტითა და ყურადღებით, სასტუმროში თავის ნომერსაც დაუთმობს და თავისი ქცევით ისე მოხიბლავს ქალიშვილს, რომ ბოლოს მაინც ერთ ლოგინში აღმოჩნდებიან; თამთა ეჭვიანობის სცენებს უმართავს გელას, რომელიც ქალს ურჩევს, რომ გათხოვდეს; მთავრდება ნელის ხუთდღიანი სიყვარული გელასადმი; გელას ტელეფონით გაეცნო მოხუცი ქალი, რომელიც მალე გარდაიცვალა და გულში აუხსნელი სევდა ჩაუტოვა: იღუპება ნარკომანი ია, რომელმაც სექსს ვერაფერი გაუგო...

IV თავი – „ნუგეშის“ რედაქტორის მისაღები“ უფრო რთული პრობლემატიკის მომცველია. მისი შემადგენელი სიუჟეტები უხვ ცხოვრებისეულ მასალას ემყარება. წამოწეულია აქტუალური და მწვავე თემატიკა, ის მოვლენები, რაც ერის სულს დააჩნდა. ვრცელი ეპოქის პანორამა ნაწყვეტ–ნაწყვეტი სურათებით, დასახსომებელი ეპიზოდებით იხატება. ეს არის რიგითი, უბრალო, გატანჯული ადამიანების ცხოვრება, რომელთა დროის, მრისხანე ქარბორბალა თავის გზაზე მიაქანებს. აქ დიალოგის წილ უფრო მონოლოგია წამოწეული, პიროვნების აღსარება, საკუთარი თავგადასავლის გადმოცემა. შესაბამისად – სტილიც სხვაგვარია, უფრო სწორედ – ეს მონოლოგური სტილი რევაზ მიშველაძის 80-იანი წლების პროზას უფრო ახასიათებდა, შემდეგ კი – ისევ დიალოგი გააბატონა თავის ნაწერებში.

გელას სწერენ მკითხველები თავიანთ ტკბილ-მწარე ცხოვრებაზე, რომლის პრიზმიდან მთელი საუკუნე ილანდება: ჭიჭიკო თარგამაძე, საშურა მიქაუტაძე, გიგილო ცხადაძე, პიმენ როხვა, გრიგოლ ბაქრაძე, ერმალო კვაშალი, არმაზ სხირტლაძე თუ მარგო ქებურია უბრალო ადამიანები არიან, რომელთა ბედი ეპოქის სრბოლასთან აღმოჩნდა მიბმული. მრავალფერია მათი ინტერესი და პროფესია. ესენი არიან იარაღის კონტრაბანდისტები, კომუნისტები, ესდეკები, პატიმრები. მეკალმახეები, ჩეკისტები, ჯარისკაცები, ომის ინვალიდები, იარაღის გამყიდველები, ემიგრანტები, ზვიადისტები...

ყველა მათგანის ბიოგრაფიას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რაც შესანიშნავ სიუჟეტურ სურათებად არის გადანაწილებული, მაგრამ მათი გაერთიანება ეპოქის პორტრეტს წარმოგვიდგენს.

V თავშიც – „იყვენით სრულ“ ასოციაციური კომპოზიცია და სიუჟეტია წამყვანი, რომელიც გვაცნობს საინტერესო ხასიათებს. ეს არის იაპონელი ოკრიბაში თუ ქართველი ჩინეთში, რომელსაც ვერაფრით დაუმალავს პარაზელები, ხევსურთან დიალოგი თუ დაგვიანება თვითმფრინავზე, ჩიჩი გვილავას თუ ჟირაფის გაყიდვის ამბები. ყოველი მათგანი დასრულებული, სხარტად დაწერილი, უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია, რომელთა გადაბმა, როგორც ვთქვით, ახალ მოზაიკურ სურათს ქმნის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწერლის ენობრივ პოზიციას. იგი ემყარება ბუნებრივი მეტყველების კონცეფციას, უარყოფს როგორც სტილიზებას, როცა ენა დეფორმირებულია, ისე ესთეტიზებას, როცა ენა ჭარბად პოეტიზებულია; დიალექტიზმებით ან ჟარგონით გატაცებას. მწერლის მეტყველება, დიალოგი, მონოლოგი, სიტუაციური აღწერა თუ მოქმედება ნაჩვენებია მაქსიმალური სიტყვიერი ეკონომიითა და სიზუსტით, ისე, რომ ენა არ იქცევს ყურადღებას: იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მაქსიმალურად გამოავლინოს ავტორის სათქმელი.

თხრობისა და კომპოზიციის აგების ასოციაციური პრინციპი, რაც დინამიკას სძენს ტექსტს, რითაც იოლად აღიქმება იგი და სინამდვილეს მრავალ სპექტრში წარმოგვიდგენს, ზოგჯერ წამგებიანიცაა. ეს მაშინ, როცა ირღვევა ზომიერება და მწერალი უნებლიეთ ხდება მორჩილი თავისივე სტიქიისა, როცა იგი ვერ ელევა სათქმელს და აგვიანებს ტექსტის მონტაჟს.

მაგალითად, გელა კირთაძის ხასიათისათვის შეუფერებელია, კონტექსტიდან ამოვარდნილია ნაპოვნი ასი ლარის სიუჟეტი. თავისთავად ეს ხალისიანი ეპიზოდი კარგადაა დაწერილი, მაგრამ ამგვარი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი არ შეეფერება გელას განწყობილებასა და ცნობიერებას. იგივე ითქმის ჟირაფის გაყიდვის სიუჟეტზე. ესეც კარგია, როგორც ცალკე ნოველა. მაგრამ თხრობის საერთო სტრუქტურიდან ამოვარდნილია.

სჯობს მწერალი მათ შეელიოს და ისევ ცალკე ნოველებად დაბეჭდოს. იგივე შეიძლება ითქვას წინა თავებში შესულ რამდენიმე სიუჟეტზეც, აჯობებდა თამთასა და გელას რომანული ურთიერთობა უფრო გამოკვეთილი ყოფილიყო. ეს მეტად გააერთიანებდა წიგნის სტრუქტურას და დრამატიზმსაც გაამძაფრებდა. ამჯერად კი მხოლოდ ფრაგმენტული, ეპიზოდური ხასიათი აქვს მათი ურთიერთობის ჩვენებას. აუცილებლად უნდა გასწორდეს ცალკეული უზუსტობები, რაც მეც, როგორც ამ წიგნის რედაქტორს, თავის დროზე გამომრჩენია (მაგ., არეულია გელასა და მკითხველის სახელები – გვ. 172 და 174, მთავარ პერსონაჟს ზოგან რატი ჰქვია, ხანაც – მერაბი – გვ. 202, 204, 668-669, ნანას – თამთა, გვ. 226, შოთას – გიგა, გვ. 813), ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ლაფსუსები ვრცელ ნაწარმოებს ყოველთვის ახლავს, ისევე როგორც კორექტურული შეცდომები, რასაც ვერც ეს გამოცემა ასცდა.

VI თავიდან („მწუხრი“) ავტორი ისევ უბრუნდება I და II თავების დრამატულ განწყობილებას, გმირულ სულისკვეთებას, პატრიოტულ მოტივებს, ცხოვრებისეულ დაკვირვებებს.

საბჭოთა ეპოქიდან გამოსული, ჩურჩულს გადაჩვეული კაცი გელა კირთაძე ახალმა რეალიებმა პატრიოტული სულით აღავსო, სამოქმედოდ განაწყო, მაგრამ განუკურნებელი ტკივილიც დაუტოვა – ეს არის აფხაზეთი.

წიგნის ბოლო ნაწილში რამდენიმე სიმბოლური ეპიზოდია, რომლებიც განსხვავებულ აზრობრივ და სტილურ ნაკადებს ქმნიან რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში. ესენია – მწერალ შავლიეს საუბარი საფრანგეთის დედოფალ ჟოზეფინასთან, რომელსაც ერთ კვირაში გაეყრება ნაპოლეონი („პოლიტიკას გული არ გააჩნია, ჟოზეფინა. პოლიტიკა მხოლოდ თვით არსებობს“); იულიუს კეისრის ფიქრები სენატში წასვლის წინ, სადაც სიკვდილი ელოდება; საუბარი ცხოვრების მიერ დაბრძენებულ და დაშინებულ მოხუც ეპიფანესთან, რომელიც მორჩილებისა და შეგუებისაკენ მოუწოდებს; ვარლამისა და შოთა ჩანტლაძის დიალოგი. ამ დიალოგებით მზადდება გელა კირთაძის ფსიქიკა თავგანწირვისათვის, რათა თავისი დაღუპვით სხვას მაგალითი უჩვენოს.

ვფიქრობ, რომ VI თავი წიგნის საუკეთესო ნაწილია, რაც აქცევს ამ რომანს თვალსაჩინო მოვლენად ჩვენს მწერლობაში.

დღეს, როცა მწერლობას ეძალება პორნოგრაფია და პათოლოგია, უხამსობა და ბილწსიტყვაობა, როცა პატრიოტიკა და გმირული სული არქაულ გადმონაშთად მიაჩნიათ, რევაზ მიშველაძე კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმ იდეების და განწყობილებების ძალმოსილებას, რაც ადამიანს აქცევს ადამიანად, ქართველს – ქართველად, რათა გვახსოვდეს საკუთარი თავი და ვიცოდეთ თუ საით მივდივართ.

◎ პოეზია

## ნოდარ ჯალაღონია

# ისე მაცოცხლე, უფალო!..

**ახალი ციკლიდან**

### თუ მამულს არ ვუპატრონეთ

ნუღარ ვიქნებით მარტოდენ,
სხვათა ცქერით და იმედით,
სამშობლოს ვერვინ უშველის,
ჩვენ თვითონ თუ გავიმეტეთ.

უნდა წუხილს და გოდებას
და წუწუნს გადავეჩვიოთ,
ქართველებს გულის გატეხას,
თავის გატეხვა გვერჩიოს.

თუ მოუმრავლდა ქვეყანას
ორგულები და ლაჩრები,
თუ მამულს ვერ ვუპატრონეთ,
უპატრონოდ ჩვენ დავრჩებით.

ვეღარ გვიშველის მარტოდენ,
ოხვრა და წივილ-კივილი,
თუ არ ვიცოცხლეთ სამშობლოს
წუხილითა და ტკივილით.

თუ დავივიწყეთ მარაბდა,
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი,
თუ წინაპართა სახელებს,
საფლავებს ვერ ვუპატრონეთ.

„ქართლის ცხოვრების“ ფურცელი
თუ დაგვრჩა გადაუშლელი,
სამშობლოს ვერვინ უშველის
ჩვენ თვითონ თუ არ ვუშველეთ.

დღესაც ხომ მიწა დიდგორის
გვასულდგმულებს და გვახელებს
და უნდა მივყვეთ, მივსდიოთ
დიდ წინაპართა სახელებს.

როგორ ვიარო საქართველოში,
სიცოცხლის დღეებს როგორ
დავითვლი,
თუ არ ვახსენებ შოთა რუსთაველს,
სახელს თამარის, სახელს დავითის.

ქართული მიწა თუ არ მეყრება,
ისე საფლავში რა მომასვენებს...
უნდა ვიცოცხლო საქართველოსთვის
და სამშობლოსთვის მოვკვდე ასევე.

ვერ გაუგიათ სულგაყიდულებს,
ვერ გაუგიათ ეშმაკ-მაცილებს,
უცხო ენას ხომ მაშინ აქვს ფასი,
ქართული ენა თუ უმასპინძლებს.

უსაქართველოდ, უქართულენოდ
ვეღარ ვივლი და ვეღარ ვიქნები,
და ქართულ მიწას შევემეტები
ჩამორჩენილი კაცის ფიქრებით.

მე ამ სიკეთეს, მე ამ წყალობას
დაბადებიდან გულით ველოდი,
რადგანაც ჩემთვის ეს საქართველო
იწყება მხოლოდ საქართველოთი.

### წუთია წუთისოფელი

რადგან, წუთია წუთისოფელი,
დრო-ჟამმა ბრძოლის ველად აქცია
და საფლავისთვის, სიცოცხლეშივე
არის შუღლი და გაწამაწია.

სასაცილოა ეს ყველაფერი
და უაზრო ფიქრს ვეღარ ავყვები.
სულ არ მაწუხებს თუ რა ერქმევა
იმ საფლავს სადაც დავიმარხები.

სულ არ მაწუხებს თუ რა ერქმევა,
ოღონდ ქართული მიწა მეყაროს,
ოღონდ მამულზე ფიქრით, ოცნებით
სულმა ილხინოს და ინეტაროს.

### გლობალიზმი და ჩამორჩენილი კაცის ფიქრები

მეუბნებიან, რომ დროს ჩამოვრჩი
და სიჯიუტე მეტის-მეტია,
რა დროს სამშობლოს სიყვარულია,
დედამიწა ხომ ქვეყნად ერთია.

მეუბნებიან და თან სიტყვები
მესმის სულის და გულის ამკლები,
— განა, რუსული ან ინგლისური
ქართულ ენაზე არის ნაკლები?!

ყველამ თავის თავს და ბედს მიხედოს,
ვერ დავუდგები მე სხვებს თავმდებად,
მაგრამ მე ვიცი რომ უცხო მიწა
სამშობლოდ აღარ გამომადგება.

რაში მჭირდება, რაში მარგია
უცხო ცისა და მიწის შეხედვა,
თუ ჩემს დიდგორს და ჩემს მთაწმინდას
ვეღარ ვნახავ და ვეღარ შევხედავ.

თორემ, ცხოვრებამ ბევრჯერ გვანახა
ვინ ვინ არის და ვინ სად მარხია,
რომ ყველაფერის ბჭე და მსაჯული
ისევ დროა და ისევ ხალხია.

და მეც უაზრო, ფიქრებს ამაოს,
ვეღარ ვენდობი და ვერ ავყვები,
სულ არ მაწუხებს თუ რა ერქმევა
იმ საფლავს, სადაც დავიმარხები.

ოღონდაც სულმა საქართველოსთვის
იქაც ილოცოს და ინეტაროს,
ოღონდ ქართველად დავიმარხო და
ოღონდ ქართული მიწა მეყაროს.

* * *

ისე მაცოცხლე უფალო,
წასვლისა აღარ მრცხვენოდეს,
სიკვდილი მიღიმოდეს და
სიცოცხლეს ვენანებოდე.

◎ ინფორმაცია

### ბათუმური კონცერტების კორიანტელი

**ბათუმი MTV-ის გრანდიოზული კონცერტისათვის ემზადება — 2011 წლის ივლისში ზღვისპირა ქალაქი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა. MTV-ისთან მოლაპარაკებებს პრემიერ-მინისტრის აპარატი აწარმოებს. უკვე ცნობილია, რომ ერთ-ერთ ევროპელი პროდიუსერი ქლოი მეისონი მომავალ კვირას საკუთარ ჯგუფთან ერთად საქართველოში ჩამოვა. სტუმრები კონცერტისათვის ადგილს შეარჩევენ, თუმცა სავარაუდოდ წარმოდგენა ბათუმის ახალ ბულვარში გაიმართება.**

**ასევე უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი ე.წ. სერებრითების სია, რომლებიც ბათუმში იმღერებენ. ქართულ მხარესა და MTV-ის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს და სწორედ გუშინ გახდა ცნობილი ზუსტი პასუხი.**

ХО-ЭОВ-ЭБО

◎ თემის გაგრძელება

***ყურადღებით წავიკითხე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 27 ნოემბერს გამოქვეყნებული წერილი „საზოგადოებრივი გამომცემლობა თუ — კერძო დუქანი?!“ და რადგან ზურაბ თორიასთან ერთად პროტესტის ნიშნად მეც დავტოვე გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თავი ვალდებულად ჩავთვალე, ვაჟა ოთარაშვილის მაგალითზე, ზოგადადაც შევხებოდი საკითხს — თუ რა იწვევს მწერალთათვის შეუფერებელ ქმედებებს.***

# მწერალთა გამომცემლობა კი არა, ოთარაშვილის ბიზნეს-კანტორა!

**მწერალთა კავშირის დაარსებიდან (1917წ.) მოყოლებული, ქართულ ლიტერატურას ჭეშმარიტი, უკომპრომისო, გამბედავი და ვაჟკაცური ბუნების კრიტიკოსები რომ ჰყოლოდა... საქართველოს მწერალთა კავშირში მისაღებად უმეტეს შემთხვევაში განმსაზღვრელად ნაცნობ-მეგობრობა რომ არ ფიგურირებდეს... და, რაც მთავარია, მწერლები ერთმანეთის შემოქმედებას კარგად რომ იცნობდნენ... მერწმუნეთ, მწერალთა კავშირი ყოველთვის მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედთა გაერთიანებად დარჩებოდა, მისი ისტორიაც არ იქნებოდა ასე ტრაგიკული (20-30-იანი წლების დასმენა-დახვრეტები!), და მწერალთა კავშირის სათავეში მდგომთაგან უმეტეს შემთხვევაში მწერალთა ქონების სამარცხვინო მითვისებითა და შემოქმედთათვის შეუფერებელ-შეურაცხმყოფელი მოქმედებებით გაჟღენთილი!**

როცა მწერალთა კავშირის წევრი ვაჟა ოთარაშვილი შეუპოვრად გამოდიოდა მიტინგებზე ქვეყნის მმართველი, მართლაც რომ ქვეყნის დამღუპველი „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ და ამავე დროს დაუღალავად იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ვინც მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის“ შენობა მიითვისა და მოითხოვდა, დაჩაგრულ და შეურაცხყოფილ ქართველ მწერალთათვის გამომცემლობის ნაწილის დაბრუნებას მაინც, — მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი მწერალი ერთგულად ვედექით მხარში სამშობლოსა და მწერლობისთვის თავდადებულ ჩვენს თბილ, ტკბილ და ვაჟკაც მეგობარს, ხოლო იმ მწერლებს, ვინც ჩვენგან განსხვავებით ზედმიწევნით კარგად იცნობდა ოთარაშვილს და დაგვცინოდა, — მალე ნახავთ, როგორი პატრიოტიცაა, რა პოეტიცაა და როგორ ენაღვლება ქართველი მწერლებიც, — მთელი ეს მოქმედებები საბოლოოდ მის მხოლოდ ერთ მიზანს — საკუთარი ჯიბის გასქელებას ემსახურებაო, — შავ დღეს ვაყრიდით!

ბოდიშს ვუხდი დღეს მათ იმისათვის, რომ არ დავუჯერე; ბოდიშს ვუხდი ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს იმისათვის, რომ ხელი, თანაც ორივე და თანაც ორჯერ ავუწიე ვ. ოთარაშვილის მწერალთა კავშირში გამდივნებას და მწერალთა კავშირის გამომცემლობაში გადირექტორებას! — მის შემოქმედებას კი საფუძვლიანად მხოლოდ მას შემდეგ გავეცანი (ჩემდა სამწუხაროდ!) „როცა ურემი გადაბრუნდა!“

ჩვენმა „თბილმა“, „ტკბილმა“, „ვაჟკაცმა“, „პატრიოტმა“, „მწერალთა ქომაგმა“, „თანამებრძოლმა“ მიზანს მიაღწია თუ არა (გამდივნდ-გადირექტორდა!), ქამელეონივით ნელ-ნელა იწყო ფერისცვალება: „სენი წირიმი“ ტკბილი ჯაყოდან ჯერ დოინჯშემოყრილ „ასე ვიცის!“ ჯაყოდ მოგვევლინა და მწერალთა გამომცემლობაც თავის მარგოდ აქცია (შესაბამისად, იქ კაპიკებზე მომუშავე თანამშრომლებიც, რაღა თქმა უნდა, საკუთარი შვილებისა და ერთი „ძვირფასი“ ქალბატონის“ გარდა! — ყმა გლეხებად და ლანძღვა-გინებით მათ ყოველდღიურ დაწიოკებასაც მიჰყო ხელი!) პატრიოტიზმსაც, რაღა თქმა უნდა, ჩაილურის წყალი დაალევინა, როგორც კი მთავრობისა და მერიის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა (ქაღალდზე ისევ „მამულიშვილობს“ რაღა თქმა უნდა!... და ბოლოს, ქართველ მწერლებსაც (ზოგიერთის, მისთვის საჭიროს გამოკლებით!) მიუჩინა სათანადო, — თეიმურაზ — ბრინკას ადგილი!

**დღეს ე.წ. მწერალთა კავშირის გამომცემლობა:**

**ა.** წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მწერალთა უპრეცედენტო დამცირებისა და შეურაცხყოფის ცენტრს! იგულისხმებიან არა მხოლოდ გამომცემლობაში მომუშავე ან საქმეზე მისული და ოთარაშვილისგან ხშირად ნაგინებ-ნალანძღი მწერლები, არამედ, მთელი ქართული მწერლობის გაუგონარი შეურაცხყოფაა ის ე.წ. ანთოლოგიებიც, რომელთა გამოცემაც ოთარაშვილის არა ლიტერატურისადმი, არამედ თბილისის მერიიდან გადმორიცხული საკმაოდ სოლიდური თანხისადმი დიდმა სიყვარულმა განაპირობა, და რომლებშიც ქართველი მწერლები გასაყიდად აჩეხილი და დახარისხებული საქონლის ხორცივით არიან გვერდების მიხედვით წარმოდგენილნი.

***დღეს ე.წ. მწერალთა კავშირის გამომცემლობა წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მწერალთა უპრეცედენტო დამცირებისა და შეურაცხყოფის ცენტრს!***

ამ „ანთოლოგიების“ შემდგენელნი, ფაქტობრივად, ორნი არიან, — ფაქტობრივად — ორივე დილეტანტი და ასევე ფაქტობრივად — ორივე ანგარებიანი — გამომცემლობის დირექტორი ვ. ოთარაშვილი და მისი... (მოდით, ასე ვთქვათ, ცოტა არ იყოს, კორექტულიც რომ ვიყო!) ინტიმური თანადირექტორი, ვინმე ვერა (მოფერებით ვეროძ) ზამთარაძე. სადმე სამართალი თუ არის, ამ ანთოლოგიებს სახელად „ვერონთოლოგიები“ უნდა ერქვას, რადგან დირექტორი მხოლოდ მაშინ ერთვებოდა საქმეში (პოეზიის ანთოლოგიის შედგენისას ასე იყო და დარწმუნებული ვარ, ალბათ, პროზის ანთოლოგიაც ასეთივე პრინციპით შედგენილს, როცა თანადირექტორი მოათავსებდა ხოლმე ამ ე.წ. ანთოლოგიების დაკომპლექტებას რა თავისი საკუთარი და რა თავისი სადაქალო და საძმაკაცო „პოეტების“ თუ „პროზაიკოსების“ „შედევრებით“... დირექტორის ნათესავ-ნაცნობი „შემოქმედნიც“ რომ ჰპოვებდნენ საუკუნო, პოეტურ თუ პროზაულ სავანეს, აი, მას შემდეგ იწყებოდა უკვე ნამდვილ პოეტთა თუ პროზაიკოსთა შეყვანაც ვერონთოლოგიებში — დირექტორისა და თანადირექტორის ურთიერთშეთანხმებით, — არა ჭეშმარიტი კრიტერიუმებით, — არამედ, ვისი სახელგვარიც გაუგონიათ უფრო ხშირად, ვინ უფრო საშიშია, ვინ უფრო საჭიროა... და ა.შ. რიცხოვნობის სიმრავლეს ითვალისწინებდნენ, ასევე, რაღა თქმა უნდა, — ფულს ხომ ფული უნდა მოეგო, — ერთგვერდიან „უხარისხოსაც“ ისევე უნდა ეყიდა ვერონთოლოგია, როგორც ოთხგვერდიან „უმაღლესხარისხიანს“ თუ მათ შორის განთავსებულთ!

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ სამარცხვინო ე.წ პოეზიის ანთოლოგიას ვ. ზამთარაძის გარდა, ყველა შემდგენლის გვარი ტყუილად აწერია — ჩვენ დანარჩენ „შემდგენლებს“ მხოლოდ მასალების შეგროვება და რედაქცია გვევალებოდა, რადგან „უფროსებს“ არც ჩვენი აზრები და არც ჩვენი თვალსაზრისი ხაზგასმით არ აინტერესებდათ და არც ითვალისწინებდნენ — არასოდეს! მით უმეტეს, საერთოდ, გაუგებარია, რატომაა პროზის ე.წ. ანთოლოგიაში ჩემი და ზურაბ თორიას გვარები სარედაქციო კოლეგიაში მოხსენიებული, — ჩვენ ხომ პროზის შერჩევაში მონაწილეობა არც მიგვიღია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და პლუს ოთარაშვილისაგან მეგრული ენის შეურაცხყოფის გამო („ჩემი გამომცემლობის პროდუქციაში სიტყვასაც არ გავაჭაჭანებ მეგრულს!“ — ყველა მწერალს აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებებში თავისი კუთხის სიტყვები, რომლებიც შემდეგ სქოლიოებშია განმარტებული. ის, რაც იცის ნებისმიერმა მკითხველმაც კი, არა თუ ნებისმიერმა მწერალმა, არ იცის... გამომცემლობის დირექტორმა!), პროტესტის ნიშნად დავტოვეთ ის საზარელი დაწესებულება პროზის ანთოლოგიის შედგენის დასაწყისშივე! (ჩვენამდე გაცილებით დიდი ხნით ადრე გამომცემლობა ასევე, საკუთარი ნებით დატოვეს თვალსაჩინო პოეტებმა — მანანა ჩიტიშვილმა და ტარიელ ხარხელაურმა!

იხ. 8 გვ.

№ 226. შაბათი, 4 დეკემბერი, 2010 წელი.

**თემის გაგრძელება**

# მწერალთა გამომცემლობა კი არა, ოთარაშვილის ბიზნეს-კანტორა!

**(მეშვიდე გვერდიდან)**

**ბ.** წარმოადგენს სახელად მწერლებისას, საჩრავად მწერებისას – ფაქტობრივად იგი უკვე **ოთარაშვილის პირადი ბიზნეს-კანტორაა**, სადაც „ქართველი გაჭირვებული მწერლებისათვის“ უწყვეტ ნაკადად შეედინება თანხები – რა უამრავი კერძო წიგნის გამოცემიდან, რა მერიიდან, რა მწერლებზე გულაჩუყებულ ბიზნესმენთაგან თუ სხვადასხვა რამე-რუმეებიდან (გამომცემლობისთვის შენობის ყიდვის შემდეგ დარჩენილ კოლოსალურ თანხას სულაც რომ თავი დავანებოთ!), და გასაგებადაც არ არის ძნელი, პირდაპირ ვის ჯიბეშიც ჩაედინება, – აბა, მაშ, „პოეტი ღმერთთან მოლაპარაკე“, რომელსაც „მოძმის წყლული უჩანს წყლულად“, თავის ოჯახსა თუ თავის ინტიმურ ინტერეს-საგანს ხომ არ მიართმევს მთელ შედინებულ-ჩადინებულს. გამოძიებასაც ტყუილად შეეცდება ვინმე – კაცს ასიათასობით ფურცელი აქვს გადაშავებული ე.წ. ლექსებით და როგორ ფიქრობთ, ასეთ ნავარჯიშევს, დოკუმენტაციის სათავისოდ შედგენ-გადათეთრება-გათეთრება შეეძლებოდა?!“

**გ.** წარმოადგენს უკულტურობისა და უზნეობის ბუდეს! (ამის შესახებ იცის თითქმის ყველამ – არა აქვს მნიშვნელობა – გამომცემლობისა კი არა, სინამდვილეში ოთარაშვილების ცადაწვდილი ციხესიმაგრისა და **ძალლთსაშენის** მეზობელია იგი მხატვრის ქუჩაზე, გეგმიური წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით **საბრალოდ** მისული თუ უბრალოდ საქმეზე მისული მწერალი, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, თეოლოგი, ჟურნალისტი, მუსიკოსი, მოცეკვავე, კომპოზიტორი, კერძო ავტორი და ა.შ. თქვენ წარმოიდგინეთ და, როგორც ხმა გავრცელდა – სცოდნია თვით თბილისის მერიასაც კი!)

ახლა კი „მოვიდეთ პირველსავე სიტყვასა ზედა!“

საქართველოს მწერალთა კავშირს რომ ჰყავდეს **ჭეშმარიტი და თანაც ვაჟკაცი კრიტიკოსები...**

საქართველოს მწერალთა კავშირში მიღება რომ ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი, **ჭეშმარიტი კრიტერიუმებით...**

და ჩვენ, მწერლები, ერთმანეთის ნაწარმოებებს **ვკითხულობდეთ...**

იქნებოდა დღეს ამდენი ჭეშმარიტი მწერალი მშიერი და ასე შეურაცხყოფილი, ხოლო ერთი **სუროგატი, ფსევდო-პოეტი,** მწერლების ხარჯზე ასე გამდიდრებული და გათავხედებული?!

ურემი როცა გადაბრუნდა, ანუ, როცა ოთარაშვილმა თავი საბოლოოდ გაამჟღავნა და მეც პროტესტის ნიშნად დავტოვე **ოთარაშვილების ბიზნეს-კანტორა**, გადავშალე მისი ძვირფას ყდაში ჩასმული, ასევე ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილი „ერთტომეული“. და... ვაი, დედაა... („ახლა კი, მაგრამ რაღა დროსია!“) ეს ვისთვის მიმიცია ხმა და ვის გასამდიდრებელ-გასადირექტორებლად ამიწევია ორივე ხელი! (ახია ჩემზე, ორივე საშინლად რომ მტკივა ახლა და ისიც ახია, საუკუნო სირცხვილად რომ შერჩება ქართული ლიტერატურის ისტორიას „მწერლის გაზეთის“ მეშვეობით ჩემი მოსაჭრელი ხელები!) მოკლედ, როგორც რომელიმე ლიტერატორი იტყოდა, – გავეცნოთ „დიდი პოეტის“ სულიერ სამყაროს:

> **„ისე დავთვერი,**
> **არყის ჭიქაში,**
> **ჩავყარე თეთრი**
> **ფულები ხურდა,**
> **მერე სიმდიდრის**
> **სადღეგრძელო**
> **ნელა დავლიე...**
> **მე ფულის სიტკბოს...**
> **გაგება მსურდა...“**

ეეხ, თქვე ჩემსავით უაზროდ ხელაწეულებო, ეეხ, თქვე ჩემსავით დამნაშავეებო, – არ შეგვიგდია სიმდიდრეზე დაგეშილ-გაცოფებული მშიერი მგელი მწყემსად უპატრონო ცხვრის ფარაში?!. სხვებს რას ვერჩოდით, თორემ ჩვენზე კია ნამდვილად, ახი!

რადგან თითქმის ყველა ლექსი საშუალო ან საშუალოზე დაბალი, ოღრო-ჩოღროა, ამჯერადაც მხოლოდ მისი „ბრძნული აზრების“ დემონსტრირებას მოვახდენ, ოღონდ წინა „ლექსივით“ მთლიანად კი არა, ფრაგმენტულად:

> **„იყო კი თამარ მეფე,**
> **ანდა ის ოქროს ვერძი?“**

დამერწმუნებით, ასეთი კითხვა, წერა-კითხვის უცოდინარ, წმინდა ქართული გენეტიკის მქონე კაცსაც კი (სიმდიდრის სადღეგრძელოს შესმისა და ჭიქაში ჩაყრილი ფულის სიტკბოს გაგებისა არ იყოს!), არ დაებადება, არა თუ წმინდა ქართული სისხლის მქონე პოეტს – ეს მხოლოდ ჩვენი სათაყვანო მეფე წმიდანისა და საუკუნეთა სიღრმიდან მანათობელი უდიდესი ეზოთერული ცოდნის (ოქროს საწმისის) მარტო უარყოფა კი არა – მთელი ერის შეურაცხყოფაცაა!

> **„იქნება ღმერთსაც უყვარდა ევა,**
> **არ აპატია იქნებ ღალატი...**
> **იქნება წარღვნა უფლის ცრემლია**
> **ევას გულისთვის წვიმად**
> **დაღვრილი...“**

მაპატიოს ღმერთმა ამ მკრეხელობის გამეორება! ხომ მეთანხმებით, რომ ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია და რომ ასეთი რამ მხოლოდ და მხოლოდ სექსუალურ მანიაკს შეიძლებოდა მოსვლოდა თავში?

> **„მე არ მინახავს შიშველი მეფე,**
> **მე დედოფალი ვნახე შიშველი!“**

თუ ოთარაშვილმა არ იცის, რაც იცის ნებისმიერმა გონიერმა და მცირედ ნაკითხმა კაცმაც კი, რა იგულისხმება მეფის სიშიშვლეში, – გამოდის, რომ იგი წუხს, ტიტველა მეფე რომ ვერ ნახა, თავს კი იმით იმშვიდებს, ჯანდაბას, დედოფალი ხომ მაინც ჩავიგდე ხელში ტიტველიო... თუ შიშველი მეფის გადატანითი მნიშვნელობა მოეხსენება, მაშინ რა შუაშია იმ პირველ, სრულიად სხვა დატვირთვის მქონე სტრიქონთან ეს მეორე – სრულიად ჩვეულებრივი, ყოფითი, ფიზიოლოგიური დატვირთვის სტრიქონი?!. და კიდევ ერთი კითხვა „პოეზიის სალამოებით“ (თავისივე მოწყობილით თუ ჩაწყობილით, საკუთარი ხელით თავზე წამოკოსებული პოეტის გვირგვინისა არ იყოს!) განებივრებულ „დიდ შემოქმედს“ – თუკი მართლაც იცი მეფის სიშიშვლის მნიშვნელობა – ყოჩაღ! ისტორიას თავი რომ დავანებოთ, რაც ამ „პერესტროიკის“ შემდეგ ჩვენ შიშველ მეფეებს ვუყურებთ, შენ ერთიც თუ არ დაგინახავს, გინესის წიგნში ყოფილხარ შესაყვანი. ისე, თვითონ შენ ვინ ხარ შპს გამომცემლობის მეფუკა-დირექტორო? – შიშველი მეფე! და ამას ხედავს მწერალთა კავშირის წევრთა სულ მცირე, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი მაინც (ჰა და ჰა, ერთი პროცენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ჯერ კიდევ ბრმა!) მთელი ეს წერილიც საზოგადოებისთვის შენს უნიღბოდ ანუ ჭეშმარიტი სახით წარდგენას არ ემსახურება? აი, ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მეფე შიშველიაო, თორემ ისე ჩემმა მტერმა გნახათ ტიტვლები გინდ ხელისუფლებასა და გინდ ლიტერატურა-ხელოვნებას ბზიკებივით შესეული დიდი თუ მცირე მეფუკები!

გულის სიღრმეში ძალიან კარგად მოგეხსენება შენი „მტერო – მტვერი“ „ლექსები“ რა „პოეზიაცაა“ და ქვეცნობიერიც კარგად გყიდის, როცა ღმერთს ეხვეწები: „ერთი ლექსი მაპოვნინე ნამდვილი, გევედრები უფალო!“

ტყუილად ეხვეწები! შენგან ყველანაირად შეურაცხყოფილი უფლისთვის არაფერს ნიშნავს (პირიქით!) შენგან დანთებული არც უამრავი სანთელი და არც ხალხის დასანახად ქუდზე გამოსახული ჯვარი!

პოეზია კაცობრიობისათვის უფლისგან ნაჩუქარი ყველაფერზე აღმატებული, უმშვენიერესი სულის უმშვენიერესი მუსიკაა და მას მხოლოდ კეთილი, მართალი და ნათელი ადამიანები ქმნიან!

ფსევდო და ფარისეველ, ამბიციურ სუბიექტთა სულის მუსიკა კი ფულის შრიალი და ფულის ჩხრიალია მხოლოდ!

პირველი მეორეს გამორიცხავს!

მეორე ტყუილად ეპოტინება პირველს!

„ფული ხელის ჭუჭყიაო!“ ბრძენი ქართველი ბრძანებს!

ასეცაა, უფალმა ჩვენზე უკეთ უწყის ეს და ამიტომაცაა, მართალნი მის მარჯვნივ რომ ივანებენ კაშკაშა ვარსკვლავებად, ხელჭუჭყიანნი კი – იქნებიან ეს ე.წ. პატრიოტები, ე.წ. ხელოვანნი თუ მწერალპოეტნი (ამ „თანამდებობებზე“ რა საკუთარი თავის მიერ, რა მთავრობისგან დანიშნულნი) ჭუჭყიან ლაქებად რჩებიან ქვეყნისა თუ ხელოვნება-ლიტერატურის ისტორიაში.

ისტორიამდე კი ერთი რამეც უდავოდ გელოდებათ წინ – ბუნების გარდაუვალი კანონზომიერება – ქარის მოტანილს ქარიშხალი რომ წაგართმევთ, როცა იქნება!

**საქამრეში გარჭობილი მაუზერით,** თვალთა მრისხანე ბრიალითა თუ გაუწყვეტელი დედის გინებით იმ „პოეტებსა“ და „მწერლებს“ ჰგავხარ (ვარსკვლავიღა გაკლია ქუდზე) ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს რომ ასამარებდნენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით...

მწარედ შეცდი, როცა შეურაცხყოფა მიაყენე არა მხოლოდ მეგრულს, არამედ თანამედროვე, ცოცხალ ჭეშმარიტ პროზაიკოსებსაც!

მწარედ შეცდი, ოთარაშვილო, მაშინაც, როცა გამომცემლობის ნახევრადცარიელ მაცივარში (40 გრადუსიანი სიცხის დროს!) გასაცივებლად შედგმული წყლით სავსე ბოთლები რამდენჯერმე გარეთ გამოგვიყარე თანამშრომლებს (კერძო მესაკუთრის საზარელი ინსტინქტი!) და გვაიძულე შინიდან გვეტარებინა გაყინული წყალი სამსახურში სულის მოსაბრუნებლად! (მსოფლიოში ერთი ადამიანიც კი არ მეგულება ამისი გამკეთებელი შენს გარდა, დიიდო „პოეტო“!)

პროზაიკოსებო, მთელი ქვეყნისა (ჭეშმარიტნო, ოღონდ!) დავუმტკიცოთ პროზის „საცოდაობით“ გულდათუთქულ ოთარაშვილს, რომ... ვაართ! ვაართ! (აქედანვე გაფრთხილებთ, მაცივრის პასაჟი პირადად ჩემია და ნუ გამოიყენებთ ნურვინ, ბოლოს და ბოლოს, ნაძალადევიდან ნუცუბიძის პლატოზე ოთარაშვილების კანტორაში მე დამქონდა გაყინული წყალი და არა თქვენ!)

საქართველოში, ღვთისგან კურთხეული მწერლების გარდა, როგორც ყოველთვის, მიმბაძველობით წერს მასის თითქმის ოთხმოცი პროცენტი, – ზოგი საშუალოზე დაბლა, ზოგი საშუალოდაც კი. მათგან ყველაზე ამბიციურ და მიზანსწრაფულ სუბიექტთა ოცი პროცენტი დამპყრობლის შეუპოვრობითა და ვირთხის ეშმაკობით, ყოველთვის ახერხებს მწერალთა კავშირში არათუ შეღწევას, ძალიან ხშირად ნამდვილ მწერალთა ბედის გამგებლად – თავმჯდომარედ, მდივნად, გამომცემლობის დირექტორად თუ სხვადასხვა რამეების უფროსებად წამოსკუპებასაც კი და აი, სწორედ ამიტომაა, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მწერალთა კავშირის ისტორია გაჯერებული მწერალთათვის შეუფერებელი ამბებითა და ფაქტებით.

სუროგატმა ანუ ფსევდო მწერლებმა მწერალთა კავშირიდან ჯერ გარიცხეს, შემდეგ კი დაასმინეს მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, ჭეშმარიტი პოეტი ტიციან ტაბიძე, ასევე დაასმინეს, დასახვრეტად და გადასასახლებლად გაწირეს არაერთი, ერისთვის სათაყვანო შემოქმედი.

სუროგატები თავიანთი მოქმედებებითა თუ ცხოვრების წესით ჩრდილს აყენებენ ცნება „შემოქმედს“, ცნება „პოეტს“, ცნება „პროზაიკოსს“... სუროგატებისგან იძულებულნი ტოვებდნენ და ახლაც ტოვებენ მწერალთა კავშირს დიდი და თვალსაჩინო მწერლები!

სამშობლოზე თავსდატეხილი პოლიტიკური კატაკლიზმების დროს სუროგატები ღიად თუ დაფარულად ემსახურებიან ხელისუფლებას.

ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნის დანახვაზე სუროგატები რაც შეიძლება ღრმად მიძვრებიან სოროებში და იქ რაც შეიძლება მაგრად იზრახუნებენ მუშტს მკერდზე – „პატრიოტულად!“

(აქვე ბარემ იმასაც დავამატებ, რომ მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმებმა და კერძოდ, ეშმაკისეულმა გლობალიზაციამ მთლად ამაზრზენი კასტა შექმნა სუროგატების – ისინი მწერალთა კავშირსაც კი არ კადრულობენ – ცალცალკე ჯგუფებს ქმნიან და უცხოელი გლობალიზაციის მამებისა თუ აქაური გლობალისტი წვრილფეხობის წაქეზებით ენით უთქმელი უწმაწური „ნაწარმოებებით“ უტევენ ყველაფერ ქრისტიანულს, ყველაფერ მშობლიურს, ყველაფერ ადამიანურს და ზნეობრივს!)

სუროგატი ისევე განსხვავდება ნამდვილი მწერლისგან, როგორც ცა დედამიწისაგან!

სუროგატი ისევე მოუშორებლად, შემაწუხებლად და მომაკვდინებლად სდევს თან (ათადან-ბაბადან მოყოლებული) ლიტერატურასა და ხელოვნებას, როგორც სარეველა ღვარძლი ხორბლის ყანას. ურთულესია მასთან ბრძოლა... მასზე მხოლოდ ერთადერთი რამ იმარჯვებს – დრო, რომელიც ისტორიის სანაგვეში ყრის სუროგატთა „ნალვაწს!“

ოთარაშვილო, პოეტობას ვინ ჩივის, კარგი მკითხველი მაინც რომ ყოფილიყავი, ანდერსენის წამკითხველს ის მაინც დაგაოკებდა ე, მანდ, იმ ბავშვივით უშიშარი და მართალი მეც არავინ გამომიხტეს და არ იყვიროს – ოთარაშვილი შიშველიაო!

ნოდარ დუმბაძე რომ წაგეკითხა, იქნებ იმასაც მიხვედრილიყავი, – პოეტობა ჩემი საქმე არააო, – ხომ გითხრა იმ სულკურთხეულმა – „წერომ ბაყაყებს მიხედოს, ლექსი ბულბულმა წეროსაო!“

ვიდრე ოთარაშვილების კანტორას პროტესტის ნიშნად დავტოვებდით, უამრავ შეურაცხყოფას, როგორც ყოველთვის, ხეპრული ღრიალით კიდევ ერთიც დაამატე – მეორე სართულიდან, მესამე სართულზე მომუშავე მწერლებს, მუქარით ამოგვძახე – „მორჩით ლაქლაქს, მანდ არ ამომიყვანოთ, თორემ!..“

შენ როგორ გაკადრებდი ზემოთ ამოსვლას „პოეზიის მეფე-ბატონო!“

აი, ხომ ხედავ, მე თვითონ „ჩამოვლაბორანტდი“, ჩამოვედი შენს საბრძანებელში და ამ წერილით, ისეთი სილა გტკიცე, როგორიც გეკადრებოდა!

გტკიცე შენგან დამონებულ-დამცირებული, სამსახურიდან შენგან გაგდებული, იძულების გამო თავისივე ნებით წასული თუ ახლაც მანდ მომუშავე არაჩვეულებრივი ადამიანების სახელითაც, რომელთაც ისედაც გაუსაძლის ყოფიერებაში პლუს შენც მოევლინე მონსტრად!

გტკიცე ნამდვილი მწერლობის, ნამდვილი ლიტერატურის, ყველაფერ ნათელის, ყველაფერ ლამაზის და ქრისტიანულის შეურაცხყოფისათვის... უკულტურობისა და უზრდელობისათვის!

მარტო რევოლვერი კი არა, ყორჩიბაშის ხმალიც რომ დაიკიდო და ატომური ბომბითაც შეიარაღდე, ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე „მგოსანო“ ოთარაშვილო – კაცობრიობას მართალ სიტყვასა და კალამზე მძლავრი იარაღი არ მოუგონია ჯერ!

**გულო კობიაშვილი**

***ამ „ანთოლოგიების“ შემდგენელნი, ფაქტობრივად, ორნი არიან, – ფაქტობრივად – ორივე დილეტანტი და ასევე ფაქტობრივად – ორივე ანგარებიანი***

***სუროგატი ისევე მოუშორებლად, შემაწუხებლად და მომაკვდინებლად სდევს თან (ათადან-ბაბადან მოყოლებული) ლიტერატურასა და ხელოვნებას, როგორც სარეველა ღვარძლი ხორბლის ყანას. ურთულესია მასთან ბრძოლა...***

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 4 დეკემბერი, შაბათი

I არხი
09.00 მხ. ფილმი „ჰერაკლე“
12.15 მხ. ფილმი „ქუჩის ცეკვები“
15.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18.00 ჯანო კახიძის საიუბილეო კონცერტი
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „მზის ცრემლები“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ქუჩის ცეკვები“
21.00 კონცერტი: ოთარ რამიშვილის საღამო
23.35 მხ. ფილმი „სოკრატე“

რუსთავი-2
09.00 საბ. სერიალი „სინდბადი“
10.00 სერიალი „კლუბი“
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „ბოიათაუნი“
15.50 მხ. ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ელისა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
00.00 მხ. ფილმი „ღამე მუზეუმში“
02.20 მხ. ფილმი „როლერბოლი“

იმედი
09.15 მხ. ფილმი „დიდი ბავშვი“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „ჩემი ძმაკაცის შეყვარებული“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „დამცველი“ (სუბტიტრ.ძ
04.35 მხ. ფილმი „შესანიშნავი შვიდეული“ (სუბტიტრ.ძ

მზე
08.00 მხ. ფილმი
11.00 საბ. სერიალი „ოდისეა“
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა“
15 00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

აჭარა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები“
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
13.15 სერიალი „წყნარი ოკეანის მარგალიტები“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
18.50 მხ. ფილმი „შესაძლო სამიზნე“
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „ხუთი მთავარი მოედანი“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „ალყა“
19.30 მხ. ფილმი „თეთრი ქარავანი“
01.10 მხ. ფილმი „წკიპურტები“

საქართველო
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.20 სერიალი „მძღოლი“
14.00 მხ. ფილმი „რაც არ გკლავს“
15.50. მხ. ფილმი „უკანასკნელი გლადიატორი“
17.40 მხ. ფილმი „ვარსკვლავური გზა“
19.55 მხ. ფილმი „ეროვნული გზა 2“
22.10 მხ. ფილმი „კინგ კონგი“
01.40 მხ. ფილმი „დრაკულა 2: ჯანყი“

რეგიონი – TV
11.20 მხ. ფილმი „განსაკუთრებით საშიში“
14.00 მხ. ფილმი „დაუოკებელნი“
15.45 მხ. ფილმი „ქორწინების ლიცენზია“
17.05 მხ. ფილმი „კომანდო“
18.45 მხ. ფილმი „ცოცხალი ან მკვდარი“
20.40 მხ. ფილმი „ჯადოქრის მოწაფე“
22.25 მხ. ფილმი „პატარძალთა ომი“
00.55 მხ. ფილმი „შვებულება მოტყუებით“

### 5 დეკემბერი, კვირა

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ჰერაკლე“
12.15 მხ. ფილმი „ფეხშიშველა ქვაფენილზე“
18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ტორპედო“ – „სპარტაკი“
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „გრან-პრი“

II არხი
15.00 სპექტაკლი „ჩვენ, ქვემორეხელისმომწერნი“
22.00 კონცერტი – ჯ. ვერდი „ატილა“
23.45 მხ. ფილმი „მოღალატე“

რუსთავი-2
09.00 საბ. სერიალი „სინდბადი“
10.00 სერიალი „კლუბი“
13.00 მოკლემ. ფილმი „დაუმორჩილებელი ანჟელიკა“
15.20 სერიალი „კაპრი“
18.50 სერიალი „დანიელა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
23.00 სად? რა? როდის?
00.00 მხ. ფილმი „პიანისტი“
02.20 მხ. ფილმი „ცოფიანი ხარი“

იმედი
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00, 20.30 სტუმრად იუმორინასთან
15.00 მხ. ფილმი „ვერის უბნის მელოდიები“
18.45 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
20.30 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი, „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „პელიკანების საქმე“ (სუბტიტრ.ძ
03.45 მხ. ფილმი „ილიას წიგნი“ (სუბტიტრ.ძ

მზე
08.00 მხ. ფილმი
11.00 საბ. სერიალი „ოდისეა“
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 მხ. ფილმი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

აჭარა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები“
12.40, 21 00 სერიალი „პადრე კორახე“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.00 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა“
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „სხვის კომპიუტერში“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „თეთრი ქარავანი“
14.00 მოკლე მ. ფილმი „მუსიკოსები“
19.50 მხ. ფილმი „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“
00.40 ოპერა

საქართველო
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.30 სერიალი „რემბო 4“
14.00 მხ. ფილმი „ბრძოლაში დაკარგულები 2“
15.50 მხ. ფილმი „უკანასკნელი ლეგიონი“
17.40 მხ. ფილმი „რკინის კაცი“
19.55 მხ. ფილმი „ბაბილონი ჩვენი წელთაღრიცხვით“
21.35 მხ. ფილმი „მისტერ და მისის სმიტები“
23.45 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“

რეგიონი – TV
11.15 მხ. ფილმი „კუნძული ნიმი“
12.50 მხ. ფილმი „ქალი-კატა“
14.50 მხ. ფილმი „იუმას მატარებელი“
16.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი ლეგიონი“
18.00 მხ. ფილმი „რა სურთ ქალებს“
21.10 მხ. ფილმი „სახლი ტბასთან“
22.50 მხ. ფილმი „27 ქორწილი“
00.50 მხ. ფილმი „ნათლია“

### 6 დეკემბერი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
00.30 მხ. ფილმი „ია-ტას ღვთაებრივი საიდუმლოებები“ (სუბტიტრ.ძ

II არხი
09.00 მხ. ფილმი „შავწვერა“
20.00 მხ. ფილმი „ფეხშიშველა ქვაფენილზე“
01.00 მხ. ფილმი „მზის ცრემლები“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი“
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
16.00 ჯეოსტარი
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.30 „კოდი“
18.50 სერიალი „სად არის ელისა“
22.00 ჯეოსტარი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „უნივერსალური ჯარისკაცი“

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე“
13.00,18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
22.00 სერიალი „მგლების ხორუმი“ მე-3 სერია
23.20 მხ. ფილმი „ტრანსპორტერი“ (სუბტიტრ.ძ
02.25 მხ. ფილმი „სამართლიანობისთვის მებრძოლი“ (სუბტიტრ.ძ
04.00 მხ. ფილმი „ვნების კვირა“ (სუბტიტრ.ძ

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე“
14.30 ფეხბურთი „რეალი“ – „ვალენსია“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
23.45 ფეხბურთი. „ნაპოლი“ – „პალერმო“

აჭარა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები“
11.40, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
12.50 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.00 მუსიკა
19.30 სერიალი „წყნარი ოკეანის მარგალიტი“
23.55 მხ. ფილმი „ჯოჯოხეთში“

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“
19.15 მხ. ფილმი „ჟუჟუნას მზითევი“
23.15 ძველი აფიშა. „ჭინჭრაქა“

საქართველო
08.50, 18.35 სერიალი „კრუზო“
10.05 მხ. ფილმი „როზ როი“
12.40 მხ. ფილმი „ალყაში“
14.30 სერიალი „ჭეშმარიტების მახვილი“
15.20 მხ. ფილმი „მეგობრები“
18.35 სერიალი „ტრაფიკი“
19.30 მხ. ფილმი „სასაზღვრო პატრული“
21.25 მხ. ფილმი „მხედართმთავრები“
23.55 მხ. ფილმი „მთიელი 2“

რეგიონი – TV
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი“ 1-ლი სერია
11.45, 00.40 მხ. ფილმი „მოკლა ბილი 1-2“
16.10 მხ. ფილმი „კინგ-კონგი
22.10 მხ. ფილმი „პირადი მცველი“

### 4 დეკემბერი, 2010წ.

თბილისის საკონცერტო დარბაზი
20:00 – საქველმოქმედო გალაკონცერტი. სოლისტები: დიმიტრი ხვოროსტოვსკი, თამარ ივერი, პაატა ბურჭულაძე. თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი - (ბილეთის ფასი – 10-40 ლარიძ
მელიქიშვილის ქ. 1, ტელ: 99-05-99

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:00 – „ჰარი პოტერი“ „3D – (6-7 ლარიძ
15:00 – „ჰარი პოტერი“ 3D – (7-8 ლარიძ
18:00 – „ხერხი 7“ 3D – (12 ლარიძ
20:00 - „ხერხი 7“ 3D – (15 ლარიძ
22:15 – „ხერხი 7“ 3D – (15 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზიძ
12:00 – „მეგატვინი“ 3D – (6 ლარიძ
14:00 – „მეგატვინი„ 3D – (7 ლარიძ
16:30 – „ჰარი პოტერი“ –- (7-8 ლარიძ
19:30 – „ჰარი პოტერი“ – (8-9 ლარიძ
22:15 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“ – (9-10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზიძ
12:00 – „ჰარი პოტერი“ – (6 ლარიძ
15:00 – „სეზონი„ – (7 ლარიძ
17:30 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს„ – (8 ლარიძ
19:45 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს„ – (9 ლარიძ
22:15 – „ჰარი პოტერი“ – (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 – „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი“ –
(ბილეთის ფასი – 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 – „გიულიჰ...“ (პრემიერაძ –
(ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 – „Private Lives“ –
(ბილეთის ფასი – 11 ლარიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
20:00 – „ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“ –
(ბილეთის ფასი – 5, 10 ლარიძ
რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

სამეფო უბნის თეატრი
20:00 – „მარად თქვენი ტყვე“ –
(ბილეთის ფასი – 7, 10 ლარიძ

გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71

ახმეტელის თეატრი
19:00 – „ჭურში?!...“ (პრემიერაძ –
(ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ
ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

თუმანიშვილის თეატრი
19:00 – „მელოტი მომღერალი ქალი“ –
(ბილეთის ფასი – 7 ლარიძ
დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 – „ჭკუისა მჭირს“ –
(ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარიძ
ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „მაკბეტი“ –
(ბილეთის ფასი – 10 ლარიძ
ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

გრიბოედოვის თეატრი
18:00 – „ჩვენი ოჯახის მცველები“ –
(ბილეთის ფასი – 5 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

გაბრიაძის თეატრი
19:00 – „სტალინგრადის ბრძოლა“ +14 –
(ბილეთის ფასი – 5, 8, 10, 15 ლარიძ
შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 – „წეროს ფრთები“
15:00 – „ჭირვეული პრინცესა“ –
(ბილეთის ფასი – 5 ლარიძ
დ. ალმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

### 5 დეკემბერი, 2010წ.

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:00 – „ჰარი პოტერი“ 3D – (6-7 ლარიძ
15:00 – „ჰარი პოტერი“ 3D – (7-8 ლარიძ
18:00 – „ხერხი 7“ 3D – (12 ლარიძ
20:00 – „ხერხი 7“ 3D – (15 ლარიძ
22:15 – „ხერხი 7“ 3D – (15 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზიძ
12:00 – „მეგატვინი“ 3D – (6 ლარიძ
14:00 – „მეგატვინი“ 3D – (7 ლარიძ
16:30 – „ჰარი პოტერი“ – (7-8 ლარიძ
19:30 – „ჰარი პოტერი“ – (8-9 ლარიძ
22:15 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“ – (9-10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზიძ
12:00 – „ჰარი პოტერი“ – (6 ლარიძ
15:00 – „სეზონი“ – (7 ლარიძ
17:30 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“ – (8 ლარიძ
19:45 – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“ – (9 ლარიძ
22:15 – „ჰარი პოტერი“ – (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 – „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი“ –
(ბილეთის ფასი – 6-12 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 – „პიგმალიონი“ –
(ბილეთის ფასი – 4-11 ლარიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 – „მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები“
(სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრიძ –
(ბილეთის ფასი – 11 ლარიძ
მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 – „ანა ფრანკის დღიური“ –
(ბილეთის ფასი – 5, 9 ლარიძ
რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ჭურში?!...„ (პრემიერაძ -
(ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ
ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

თუმანიშვილის თეატრი
19:00 – „ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!“ – (ბილეთის ფასი – 7 ლარიძ
დ. ალმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 – „პატარა უფლისწული“ –
(ბილეთის ფასი – 10 ლარი; სტუდენტებისთვის – 5 ლარი ძ
ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 – „მაკბეტი“
(ბილეთის ფასი – 10 ლარიძ
ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

გრიბოედოვის თეატრი
12:00 - „ჩიპოლინო“ -
(ბილეთის ფასი – 5 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

გაბრიაძის თეატრი
19:00 – „სტალინგრადის ბრძოლა“ +14 – (ბილეთის ფასი – 5, 8, 10, 15 ლარიძ
შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 – „ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი“
15:00 – „კატის ზღაპარი“ – (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ
დ. ალმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27.

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

ფიფას არჩევანი

# „საწყალი“ რუსეთი

**რა საერთო აქვთ თვალუწვდენელ რუსეთსა და ციცქნა ყატარს?**

**ამიერიდან ამ კითხვას, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში ალარავინ დასვამს, რადგან მთელმა პლანეტამ შეიტყო, რომ ფიფამ სწორედ მათ მიანიჭა, შესაბამისად, 2018 და 2022 წლების „მუნდიალების“ მასპინძლობის უფლება.**



რადგან კორუფციის ჭაობში ჩაფლული ბლატერის უწყება ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ასეთ ნდობას ტყუილად არავის გამოუცხადებდა.

მაშასადამე, ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ ევრაზიაში გადაჭიმულ ზესახელმწიფოსა და ნავთობით აყვავებულ აზიურ ქვეყანა – სამოთხეს კიდევ ერთი, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი კომპონენტი – ფული აერთიანებთ, რამაც განაპირობა კიდეც ჰალსტუხიან ყაჩაღთა არჩევანი. ასე რომ არ იყოს, ისინი ვერ დაამარცხებდნენ ღირსეულ კონკურენტებს, შესაბამისად, ინგლისს, ესპანეთ-პორტუგალიასა და ჰოლანდია – ბელგიას; აშშ-ს, ავსტრალიას, იაპონიასა და სამხრეთ კორეას.

მოდი და ამის შემდეგ ნუ გაიკვირვებ ჩვენი „ნაციონალური“ მასმედიის ყოველდღიურ წკავწკავს – რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული და კრიზისი ღრღნისო. თუ მართლაც ასეა საქმე, რატომ დანიშნა უეფამ მოსკოვში 2008 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი (დიახ, 2008 წლის აგვისტოს გაზრძოლებამდე რამდენიმე თვით ადრეძ, აღარაფერს ვამბობთ „სოჭი-2014“ზე, ჩრდილოური მონსტრის დედაქალაქის ქუჩებში 2015 წლის „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი ეტაპის გამართვასა და სხვა უმნიშვნელოვანეს ფორუმებზე.

ჩვენც ხომ მოვიპოვეთ 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ორგანიზატორობაო? – იკითხავთ, ალბათ. ჰოდა, სჯობს საკუთარ მონაგარს მივხედოთ და შევეშვათ სხვების ბწკენას. მით უმეტეს, აღნიშნული კბენა-ღრენის მთავარი ობიექტი – ვლადიმერ პუტინი უკვე მეორე პირად ტრიუმფს ზეიმობს. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისმა ჩასვლამ შორეულ გვატემალაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე გადაწყვიტა მნიშვნელოვანწილად ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭში გამართვის საკითხი. ასე მოხდა ამჯერადაც – ციურიხის საგამოფენო ცენტრში მიმდინარე ბატალიებსაც ჩვენს მეზობელთა პრემიერ-მინისტრი უშუალოდ მოვლენათა ეპიცენტრიდან „ადევნებდა თვალს“. ასე რომ, მთლად რეალური არ უნდა იყოს რუსეთის დელეგაციის მიერ ეუთოს ასტანის სამიტის დატოვების მიზეზი, ამ დღეებში რომ გვახვევენ თავს „რუსთავი-2“-ები.

და ბოლოს, იმასაც გაუწყებთ, რომ 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატისთვის სამზადისი, პრემიერის განცხადებით, რუსეთს 10 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

**რაც შეეხება ფარულ კენჭისყრას, მისი სრული შედეგები ასეთია.**

**2018 წელი**

**I ტური.** ინგლისი – 2 ხმა, ჰოლანდია – ბელგია – 4 ხმა, ესპანეთი – პორტუგალია – 7 ხმა, რუსეთი – 9 ხმა (გამოეთიშა ინგლისიძ.

**II ტური.** ჰოლანდია – ბელგია – 2 ხმა, ესპანეთი – პორტუგალია – 7 ხმა, რუსეთი – 13 ხმა.

**2022 წელი**

**I ტური.** ავსტრალია – 1 ხმა, იაპონია – 3 ხმა, კორეა – 4 ხმა, ყატარი – 11 ხმა, აშშ – 3 ხმა (გამოეთიშა ავსტრალიაძ.

**II ტური.** იაპონია – 2 ხმა, კორეა – 5 ხმა, ყატარი – 10 ხმა, აშშ – 5 ხმა (გამოეთიშა იაპონიაძ.

**III ტური.** კორეა – 5 ხმა, ყატარი – 11 ხმა, აშშ – 6 ხმა (გამოეთიშა კორეაძ.

**IV ტური.** ყატარი – 14 ხმა, აშშ – 8 ხმა.

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი

# საოქმო ენით

**ევროპის ლიგის ჯგუფური ტურნირი. V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** ლეხი – იუვენტუსი 1:1, სიტი – ზალცბურგი – 3:0.

სიტი – 10, ლეხი – 8, იუვენტუსი – 5, ზალცბურგი – 2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** რუსენბორგი – ლევერკუზენი 0:1, ატლეტიკო – არისი 2:3.

ლევერკუზენი – 11, არისი, ატლეტიკო – 7-7, რუსენბორგი – 3 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** გენტი – ლევსკი 1:0, სპორტინგი – ლილი 1:0.

სპორტინგი – 12, გენტი – 7, ლილი – 5, ლევსკი – 4 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ვილიარეალი – დინამო (ზაგრებიძ 3:0, პაოკი – ბრიუგე 1:1.

ვილიარეალი – 9, პაოკი – 8, დინამო (ზაგრებიძ – 7, ბრიუგე – 3 ქულა.



**„ე“ ჯგუფი.** შერიფი – ალკმაარი 1:1, ბატე – დინამო (კიევიძ 1:4.

დინამო (კიევიძ, ბატე – 10-10, ალკმაარი, შერიფი – 4-4 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ცსკა (მოსკოვიძ – ლოზანა 5:1, პალერმო – სპარტა 2:2.

ცსკა (მოსკოვიძ – 15, სპარტა – 8, პალერმო – 4, ლოზანა – 1 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** ზენიტი – ანდერლეხტი 3:1, ჰაიდუკი – აეკი 1:3.

ზენიტი – 15, აეკი – 7, ანდერლეხტი – 4, ჰაიდუკი – 3 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** იანგ ბოიზი – შტუტგარტი 4:2, ოდენსე – ხეტაფე 1:1.

შტუტგარტი – 12, იანგ ბოიზი – 9, ხეტაფე, ოდენსე – 4-4 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** სამპდორია – ეინდჰოვენი 1:2, მეტალისტი – დებრეცენი 2:1.

ეინდჰოვენი – 13, მეტალისტი – 10, სამპდორია – 5, დებრეცენი – 0 ქულა.

**„კ“ ჯგუფი.** ბორუსია – კარპატი 3:0, პარი სენ-ჟერმენი – სევილია 4:2.

პარი სენ-ჟერმენი – 11, სევილია – 9, ბორუსია – 8, კარპატი – 0 ქულა.

**„ლ“ ჯგუფი.** სტიაუა – ლივერპული 1:1, უტრეხტი – ნაპოლი 3:3.

ლივერპული – 9, სტიაუა – 6, ნაპოლი, უტრეხტი – 4-4 ქულა.

**„მ“ ჯგუფი.** რაპიდი – პორტუ 1:3, ცსკა (სოფიაძ – ბეშიქთაში 1:2.

პორტუ – 13, ბეშიქთაში – 10, რაპიდი, ცსკა (სოფიაძ – 4-4 ქულა.

კალათბურთი

# ვინ – ვის?

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდი. VII ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** ჟალგირისი – მაკაბი 68:71, ხიმკი – პარტიზანი – 92:65, ტაუგრესი – პროკომი 75:81.

მაკაბი – 6, ჟალგირისი, პარტიზანი – 4-4, ხიმკი – 3, ტაუგრესი, პროკომი – 2-2 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** უნიკახა – რეალი 75:71, ოლიმპიაკოსი – ბროზე 86:69, რომა – შარლერუა 95:83.

ოლიმპიაკოსი – 5, რეალი, უნიკახა, რომა – 4-4, ბროზე, შარლერუა – 2-2 მოგება.



**„გ“ ჯგუფი.** სიენა – ლიეტუვას რიტასი 90:72, ბარსელონა – შოლე 76:62, ულქერი – ციბონა 100:70.

სიენა, ულქერი – 6-6, ბარსელონა – 5, შოლე – 3, ლიეტუვას რიტასი – 1, ციბონა – 0 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** ვალენსია – ეფესი 62:56, ოლიმპია – მილანი 82:75, ცსკა – პანათინაიკოსი 68:72.

პანათინაიკოსი, ოლიმპია – 5-5, ეფესი – 4, მილანი, ვალენსია – 3-3, ცსკა – 1 მოგება.

ინტერნეტიდან

## სერენა უილიამსი — ქველმოქმედი

**მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა სერენა უილიამსმა გადაწყვიტა მონაწილეობა ძალზე ეპატაჟურ საქველმოქმედო აქციაში „ვირტუალური ცხოვრების მსხვერპლი“, რაც შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს მიუძღვნა.**



ლეგენდარული ჩოგბურთელის მთელი აქციები გაყინეს. ისინი, ალბათ, არ იმუშავებენ, ვიდრე სპეციალურ საქველმოქმედო ფონდში „გადაარჩინე ბავშვის სიცოცხლე“ არ შევა 1 მილიონი დოლარი.

„დღეს მე ვკვდები, მე ჩემს ვირტუალურ სიცოცხლეს მსხვერპლად ვწირავ რეალური ადამიანების გადარჩენას. თუ გინდათ, მხარი დაუჭირეთ შიდსთან ბრძოლას და მეც მაშინ დავბრუნდები“, – ასეთია ბოლო შეტყობინება სერენას მიკრობლოგზე.

ამ აქციის დამაარსებელი და ორგანიზატორია ამერიკელი მომღერალი ქალი ალიშა კიზი. მას ბევრი ცნობილი ლამაზმანიც შეუერთდა.

ზოგიერთი მათგანი კუბოშიც კი გადაიღეს, რაც თითქოს მოწმობს მათი ონლაინ-სიცოცხლის დასასრულს, – იტყობინება Go Tennis.

## კლიჩკოს პიცასავით გავაბრტყელებო

**დაიკვეხნა ბრიტანულპასპორტიანმა ზიმბაბველმა დე რევ ჩისორამ, 11 დეკემბერს რომ უნდა შეხვდეს მძიმეწონოსან მსოფლიო ჩემპიონს WBO და IBF ვერსიებით უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოს. დიახ, 26 წლის ჩისორას ეჭვი არ ეპარება, რომ კლიჩკო-უმცროსის სახეს გემრიელი პიცასავით გააბრტყელებს.**

„დიდებულ ფორმაში ვარ და ძალზე მეჩქარება, დავამტკიცო, რომ კლიჩკო შეცდა, მეტოქედ მე რომ ამირჩია. მე მინდა, კორისანდესისავით მოვიქცე, თავის დროზე კლიჩკო ნოკაუტში რომ გააგზავნა. მე კლიჩკოს ვურჩევ თავის დაცვას, თორემ თუ ყურებში მოვარტყი, ხალხის გასახარად წაიქცევა. აბა, ნახეთ, ჩემპიონის ქამრებს ბრიტანეთში ჩავიტან!“

ახლა ვლადიმერ კლიჩკოს მოვუსმინოთ:

„ვფიქრობ, რომ ორთაბრძოლა ძალზე საინტერესო იქნება. ვხედავ, რომ ჩისორას ჩემი სრულიად არ ეშინია და გამომწვევად იქცევა“.

უკრაინელის მწვრთნელმა ემანუელ სტიუარტმა კი დაამატა:

„ჩისორა ვლადიმერის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მეტოქეა ბოლო 6-7 წელიწადში. შესაძლოა, მცირე გამოცდილება აქვს, მაგრამ ის ახალგაზრდაა, გაავებული და აგრესიული. ჩისორა ვნებიანად იბრძვის, ეს კი ძალზე საშიშია.“

ვნახოთ, 11 დეკემბერიც გათენდება!

## დებორა დაილალა

**დღემდე უცნობია, თუ რატომ ჩაიშალა ცნობილი იტალიელი მოდელის, კონკურსის „2003 წლის იტალიის დედოფლის“ მონაწილის დებორა სალვალაჯიოსა და პორტუგალიელი ფეხბურთელის ვიქტორ უგო გომეშ პასუშის ქორწილი. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს ზედმეტ სახელად პელე შეარქვეს. რაღაც მომენტში ისინი დასცილდნენ ერთმანეთს.**



პელესთან განშორების შემდეგ ქალიშვილმა უარი თქვა ფეხბურთელებთან რომანზე. მისი ბოლო საყვარელი ცნობილი ბიზნესმენია, თუმცა ლამაზმანი ისევ აგრძელებს თავის თაყვანისმცემელთა პიკანტური ფოტოსესიებით გახარებას.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს დებორას რომანი ჰქონდა ისეთ ცნობილ ფეხბურთელებთან, როგორებიც არიან მატეო ფერარი, სიმონე ინძაგი და სხვები.



## განცხადება აქტივების რეალიზაციის შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აქტივების რეალიზაციას:**

1. სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ და სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკის“ კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზეძ. იყიდება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირებიძ მიმართ მოსათხოვი თანხის 30 პროცენტში.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობებიძ შეფასებული ღირებულების 30 პროცენტში.

●ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მშენებარეძ 398.80 კვ.მ., ფასი – 21 300 ლარი.

● ქობულეთის რ-ნი სოფ, ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი – 5 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინაძ ფართი – 465 კვ.მ., ფასი – 31 350 ლარი;

3. სატელეფონო სადგური – Alkatel 1000 C12 (4 000 აბონენტზეძ – ფასი 2575 ლარი (შეფასებული ღირებულების 50 პროცენტიძ;

4. ბანკის საკუთრებაში არსებულ სს „მშენებლის“, სს „ბათუმსპეცმონტაჟის“, სს „უძსოვადი ძსოვილების“, სს „ინტურისტის“, სს „ქობულეთის ჩაის“, სს „სტამბის“, სს „აჭარწიგნის“ და სს „ბათუმის“ ტყავის ქარხნის აქციებს.

5. იტალიური წარმოების სირაქლემების გამოსაზრდელი გადასატანი ბრუდერი 6 ცალი, ერთეულის ფასი 871 ლარი (შეფასებული ღირებულების 30 პროცენტიძ.

6. იტალიური წარმოების სირაქლემის კვერცხის სპეციალიზებული ინკუბატორი – 3 ცალი, ერთეული ფასი – 1293 ლარი (შეფასებული ღირებულების 30 პროცენტიძ.

**მისამართი: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №33.**

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელ: 7-60-03, 899-51-13-82.**

**სალიკვიდაციო კომისია**

**კოლეგის წიგნი**

# სიტყვალალიანი და სიტყვაუღალატო

**ჩემი კოლეგის ვილენ მარდალეიშვილის საკმაზმად, რომელსაც მკითხველი მართალ კაცად და ქართული ჟურნალისტიკის მეხრედ აღიქვამს, შემეძლო სხვა ისეთი ეპითეტი მეხმარა, რომელშიც თავს კიდევ უფრო ლაღად და მხარგაშლილად იგრძნობდა, მაგრამ ქართულ სიტყვასთან შეჭიდებული რაინდის „ნახნავ-ნათესიდან“ გამომდინარე, ისევ „სიტყვალალიანი“ და „სიტყვაუღალატო“ ვამჯობინე, რამეთუ მის ნაკალმარში დურბინდით მაძებარი კაციც კი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ერთ წყალგარეულ, უღალო და ღალატიან სიტყვასაც ვერ იპოვის.**

რა თავის ბრალია, ასეთი დაბადა ბედიმწერალმა და რაკილა ერთხელ გაივაკა სიმართლის მაძიებელ გზაზე, ბევრიც რომ ეცადოს (რა ძალი ადგია, თორემ კი!ძ ველარსაით გადაუხვევს. ალბათ მასში, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, იმძლავრა ბაბუის, თვითნასწავლი გლეხის ვლადიმერ მარდალეიშვილის გენმა, რომელმაც თურმე ზეპირად იცოდა შოთას უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ილიას, აკაკის, დავით გურამიშვილის ნაწარმოებები. ჰოდა ჩვენი ვილიც, ეტყობა, წინაპრის კვალს გაჰყვა, სიყმაწვილეშივე შეიყვარა მშობლიური ლიტერატურა და ხელოვნება, მთელი ცხოვრება უბეში ჩახუტებულმა ატარა, ეფერა, ეალერსა, საკუთარი კალმის მადლი და შარმი არ მოაკლო, ქვეყნის სასიქადულო ადამიანების პორტრეტები, ჩანახატები, დიალოგები, მწერალთა ბაღჩეულში „მომცვრეული“ ლექსები და ესეები ჯერ პრესის ფურცლებიდან დააჭაშნიკებინა მკითხველ საზოგადოებას, ხოლო შემდეგ ერთ სქელტანიან რჩეულად შეკრა, და იმავე საზოგადოებას მუხლმოდრეკით წარუდგინა: გენაცვალოთ თქვენი ვილენი, ნახეთ, წაიკითხეთ, განსაჯეთ და შეაფასეთ. რაც შემეძლო გავაკეთე, **„რაცა ვარ, ეგა ვარ“** (ასე დაარქვა ავტორმა თა-




ვის ახალ წიგნსძ და მეტის გაკეთებას ჩემგან ნუ მოინდომებთო.

კარგი რა, ვილი, ჩემო ძმაო და მეგობარო, დღეს, როდესაც მთელი საქართველო ნიადაგ ტრაბახისა და ბაქიბუქის ბურუსშია გახვეული, რაღა მაინც და მაინც შენ უნდა ითავსაწყლო და ითავმდაბლო? კაცმა, რომელმაც ქართულ ჟურნალისტიკას ამსიღრმე ხნული გაავლო, რომელსაც თავის გამორჩეული კალმის წყალობით არც ხალხის სიყვარული მოკლებია, არც სახელმწიფო ჯილდოები, ლაურეატობა და პრემიები, ერთხელ ხომ მაინც უნდა დაიფასოს თავი და თქვას — აბა შემომხედეთ, რა მაგარი ვინმე ვარო! არა, მაინცდამაინც მკითხველმა უნდა გვაუწყოს, რომ ვილენ მარდალეიშვილს აქვს: „ნათელი, ლაპიდარული სტილი, შესაშური ჟურნალისტური ალღო და ზომიერება, ფრაზა — მოქნილი, ლექსიკა — მდიდარი, სიტყვა — მოზომილი, თავაზიანობა — იმერული, სილაღე — ქალაქური, ტკივილი — ქართული“; რომ მან, ვილენმა, ჯერ კიდევ კომუნისტური დიქტატის წლებში, ოფიციალურ პრესაში პირველმა შემოიტანა ინტიმი, უბრალოება, სილაღე და ასეთად დარჩა დღემდე; რომ მას არ უყვარს რიტორიკა და დიდაქტიკა. საუბრები, ჩანახატები, პოლემიკა ისეთი უშუალო და ხალხური აქვს, შეუძლებელია სიამოვნება არ მოგგვაროს.

ჩვენდა სასიხარულოდ არაფერი შეცვლილა ვილენის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, თვით მისი ბუხუნა ხმაც კი, ზოგს როხროხად რომ ეჩვენება. თავად ვილის თუ ჰკითხავთ, საკუთარ ხმაზე რას ფიქრობს, ვერ გეტყვით, მაგრამ მურმან ლებანიძისა არ იყოს, თურმე ბულბულის ხმაზე მეტად შაშვის ხმაზე გიჟდება... „გალობს, ყელს ილადრავს შაშვი, — წერს ერთგან ვილი, — ათასნაირად ახვევს ხმას. ბულბული უფრო მინორულია, უფრო ნაზი და სუსტია. შაშვი, ძარღვებს რომ აგიტოკებს, ისეთია...“

ამ შაშვის ფერება-ხატვაში თითქოს საკუთარი თავი შემოეხატაო ჩვენს ვილის, არა მკითხველო? მისი ნაწერ-ნაკალმარიც ხომ შაშვივითა სტვენს, ნერვებს გვიტოკებს და სულს გვიფორიაქებს. აღარაფერს ვამბობ „უფლის საჩუქარზე“ (წიგნში ამ სათაურით დასტამბულ ნოველა-მინიატიურებში ვილენმა შვილიშვილთან საუბრისას საკუთარი ცხოვრების შთამბეჭდავად ტკივილიანი სურათები დახატაძ, ნამცეცა, დაბინდულქლიავთვალება ანანოზე, რომელმაც ეს ჩვენი მძიმეწონიანი წიგნის ავტორი (პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებითძ „ზეალიტაცა, სიმღერა ათქმევინა, ლექსი აწერინა და ენა მოაჩლექინა“...

ახია შენზე! ღმერთმა გიმრავლოს საკუთარი მარჯვენით მონაგარი წიგნები და ანანოსნაირი შვილიშვილ-შვილთაშვილები, შენივე თქმით, წიფობისთვეში გადამდგარო, ძმაო ვილენ!

**ოთარ ხუციშვილი**

**კლასიკოსი**

# თბილისში ოთარ ჩხეიძის მემორიალური დაფა გაიხსნა

**ჩვენი ბედკრული ისტორიის მემატიანე ოთარ ჩხეიძე წერდა: „სულიც, სულიც ამოთხვრილა ტალახში. ამაოა ცდაი ყოველი, ვერ გადარჩება სუფთად ვერავინა!...“ „გამასხრდა ქვეყანაცა...“ მწერალმა წინასწარმეტყველებასავით დაგვიტოვა რომანები: „არტისტული გადატრიალება,“ „თეთრი დათვი,“ „ბერმუდის სამკუთხედი,“ „2001 წელი...“**



ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადებიდან 90 წელი გასულა, ოთარ ჩხეიძის სახლში, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №6-ში მისი მემორიალური დაფა გაიხსნა.

მწერალი აქ 1984-2007 წლებში ცხოვრობდა. როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა იგი — თავმდაბალი, მოკრძალებული, რომელიც აჟიოტაჟს, პომპეზურობას გაურბოდა, ცდილობდა უჩინრად ეცხოვრა და სახელის მოხვეჭას გულგრილად უყურებდა.

„მემორიალური დაფის გახსნით მის სურვილს გადავუხვიეთ. ოთარ ჩხეიძე ხვალინდელ საქართველოს ძალიან დასჭირდება და იმიტომ. მისი მოღვაწეობა არა მარტო ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური მოვლენა იყო. საქართველოს სახელმწიფოს მოდელი შეიძლება დიდწილად მისი შემოქმედებიდან ამოვიდეს. ეს მემორიალური დაფა ერთი მცირე ფრაგმენტია მკითხველის მიერ მწერლისადმი დამოკიდებულებისა,“ — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

ოთარ ჩხეიძე ერთდროულად იყო დიდი შემოქმედი და დიდი მოქალაქე, ასეთი პიროვნებების ყოფნა საზოგადოებისთვის „სასიცოცხლოდ აუცილებელია,“ — განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა.

დიდებულ ადამიანთა კვალი ჩვენს მეხსიერებაში არსებობს და ერთ-ერთი ასეთი ნათელი კვალი ოთარ ჩხეიძემაც დატოვა. „დიდი მადლობა ოთარ ჩხეიძის კვალის სიყვარულისთვის“, — ასე მიმართა მწერლის ქალიშვილმა ნატო ჩხეიძემ მემორიალური დაფის გახსნაზე მყოფ მწერლებს.

სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე: გივი ალხაზიშვილი, ლია სტურუა, კობა იმედაშვილი, თამაზ ვასაძე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**სურათზე: რევაზ მარგიანი, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე.**

**არკადი ჟორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალი გოგნიაშვილს მამის**
**გივი გოგნიაშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**ინფორმაცია**

## მძღოლების წინასწარი სამედიცინო შემოწმების ვალდებულება იხსნება

**საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებით გადამყვანი პირებისთვის წინასწარი სამედიცინო შემოწმება სავალდებულო აღარ იქნება.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით შესწორება შედის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონში.**

როგორც კანონპროექტის ინიციატორები განმარტავენ, წინასწარი სამედიცინო შემოწმება პრაქტიკაში არ სრულდებოდა და მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რაც გარკვეული კორუფციული სახის გარიგებებსაც უკავშირდებოდა.

ამასთან მათივე თქმით, ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანის დიდი ნაწილი ფაქტიურად ხორციელდება სასოფლო ტიპის დასახლებებიდან ინდივიდუალური მეწარმის (გადამზიდველიძ მიერ, სადაც საკმაოდ რთულია მძღოლის სამედიცინო შემოწმების განხორციელება.

ახალი კანონპროექტის მიხედვით კი მძღოლების წინასწარი სამედიცინო შემოწმების ვალდებულება იხსნება, თუმცა ეს არ შეეხება იმ პირებს, ვინც საერთაშორისო გადამზიდავები არიან.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

**ჩვენი ქუჩა**

# მეფეთუბანი მშვენდება









**ალმაშენებლის პროსპექტი ნელ-ნელა ლამაზდება. უკვე დასრულდა დაზიანებული ნაგებობების, ჩუქურთმების, ორნამენტების აღდგენა. დავით აღმაშენებლის №140 უნიკალური შენობაა, რომელიც უწინ კერძო პირს ეკუთვნოდა. რკინის ჭიშკართან, ორივე მხარეს ისევ ლომები აღიმართა, ისინი უწინ თბილისის ზოოპარკთან იდგა. ლომები ისევ ძველ ადგილს დაუბრუნეს.**

ამ ეზოს ბოლოში ძალიან ორიგინალური სახლი მდებარეობს. ეზოს შუაგულში პატარა შადრევანია ბავშვის ქანდაკებით, რომელსაც თევზი უჭირავს.

ქუჩის გაყოლებაზე რეკონსტრუქცია მრავალ შენობას ჩაუტარდა. გამოჩნდა ლამაზი აივნები ორნამენტებით, ხის ჩუქურთმებიანი ფანჯრები... ტროტუარზე ლამაზი ფილები დაიგო. ქუჩა ლამპიონებით განათდა. ალდგა ყოფილი რკინიგზელთა კლუბი, ასევე — ჯანსუღ კახიძის მუსიკალური ცენტრი. თვალსაჩინოა იქვე მდებარე შადრევანი. სკვერში მეორე ეტაპის სამუშაოები გრძელდება, მალე დასრულდება ბავშვთა მოედანი ატრაქციონებით, ირგვება ყვავილები, მარადმწვანე ბუჩქები, დეკორატიული ხეები. სკვერში მშვენებლობას აწარმოებს შპს „ბაზალტი“.

ბოლოს და ბოლოს, ძველ კინოთეატრ „აპოლოს“ შენობასაც ადგება საშველი, რომელიც ამჟამად ხარაჩოებშია. მთლიანად ალმაშენებლის გამზირია მოქცეული ხარაჩოებში.

სასიხარულოა, რომ დედაქალაქის იერსახე ლამაზდება, დავით აღმაშენებლის გამზირი მალე თბილისელების თვალსა და გულს გაახარებს.

**ნატა ნიბლაძე,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## სულიერება

# ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა



**4 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანებას.**

...უფალმა შეისმინა იოაკიმეს და ანას ლოცვა – მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ეყოლებოდა ასული – მარიამი, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა. ცხრა თვის თავზე ცოლქმარს ნანატრი შვილი გაუჩნდა. მშობლები გოგონას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ყრმა მარიამი კი, მოხუც დედ-მამას სალმრთო მადლით განადიდებდა და განაძლიერებდა.

...მარიამი გახდა 3 წლის და, დადგა ჟამი მარიამის მშობლებთან განშორებისა; წმინდა იოაკიმემ და წმინდა ანამ საზეიმოდ მოიყვანეს მხოლოდ შობილი ასული ტაძრად.

მღვდელმთავარი ზაქარია, იოანე ნათლისმცემლის მამა შეხვდა მათ. ყრმა მარიამმა, როგორც კი ფეხი შედგა, დაუხმარებლად აირბინა თხუთმეტივე საფეხური კიბისა და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. მღვდელმთავარი ზაქარია სულიწმინდის მადლმა მოიცვა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა და მასზე უფრო ღირსეული!

უსაზღვროდ გახარებულმა მშობლებმა მადლობა შესწირეს უფალს, შინ დაბრუნდნენ და დიდი სერობა გამართეს. ხოლო მათმა კურთხეულმა ასულმა ღვთის სახლში განაგრძო ცხოვრება.

**გიული ლიპარტია**

## დედაქალაქი

# ღამის თბილისი საახალწლოდ...





დიდი ხალხმრავლობა იყო რუსთაველის პროსპექტზე 1 დეკემბრის ღამეს. განათდა საახალწლოდ მორთული ხეები, ბუჩქები, შენობები... უამრავი ბავშვი მოვიდა ამ სილამაზის სანახავად... აქვე იყიდებოდა საახალწლო სუვენირები, ადგილზე მზადდებოდა ცხელ-ცხელი ბამბის ნაყინი... იდგა დიდი ჟრიამული, უკრავდნენ ქუჩის მუსიკოსები, მათ გარშემო კი უამრავი ახალგაზრდა ხალისობდა.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7669 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3141 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7611 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6171 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +18 |
| ქუთაისი. | +14 – +20 |
| ბათუმი. | +15 – +24 |
| ზუგდიდი. | +14 – +22 |
| თელავი. | +5 – +16 |

## ანეკდოტები

– 100 დოლარად არ ჩამიწვებოდი ლოგინში? – ეკითხება ბიჭი გოგოს.

– არა.

– კარგი რა, ძალიან მჭირდება ეს ფული.

* * *

სიდედრი სიძეს ესტუმრა.

– ვაშა! ბებია ჩამოვიდა! როგორც იქნება, მამიკო ფოკუსს გვიჩვენებს! – შემოეხვია სტუმარს გახარებული პატარა შვილიშვილი.

– რა ფოკუსს, შვილო?!

– ასე თქვა შენზე, თუ კიდევ გვესტუმრა, იცოდეთ, კედლებზე დავიწყებ სიარულსო.

* * *

ცოლ-ქმარი შეთანხმდა, რომ თუ რომელიმე მათგანს სექსი მოუნდებოდა, ეთქვა: „მე ტუზი მაქვს“, ხოლო თუ ამისი სურვილი არ ექნებოდა, ეთქვა „მე ექვსიანი მაქვს“. დაწვნენ.



– ტუზი მაქვს, – ამბობს ცოტა ხნის შემდეგ ქმარი.

– მე კი ექვსიანი, – უპასუხებს ცოლი.

განაწყენებული ქმარი კედლისკენ გადაბრუნდა და საბანში გაეხვია.

– ტუზი მაქვს, – უკვე ცოლმა თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

– მე კი ექვსიანი, – შეუღრინა ქმარმა.

– როგორ, შენ ხომ ტუზი გაქვს? – საბანი გადახადა გაბრაზებულმა ცოლმა.

– რა წესია სხვის კარტებში ჩახედვა, ქალო!

* * *

– ისეთი დიდი აგარაკი მაქვს, რომ მანქანით ორი დღე ვერ შემოუვლი, – ეტრაბახება ტიპი ნაცნობს.

– ჰო, – უპასუხებს იგი, – მეც მქონდა ერთი მანქანა, რომლითაც კუსაც ვერ გაუსწრებდი კაცი.

გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ქ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.